# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 2 ივნისი 1995 № 29 (167) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ



ეროვნული ბიბლიოთეკა


# აკაკი დევაძე

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი!



გია ახალაძის ფოტო

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი საქართველოში მეხუთედ გამოვლინდა. 1990 წელს ფეხბურთის ფედერაციამ იბერიელი თემურ ქეცბაია დაასახელა, 1991-92 წლების სეზონის შემდეგ „ქართული ფეხბურთის" გამოკითხვამ — სოხუმელი მიხეილ ჯიშკარიანი. ამის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა „სარბიელმა" ითავა, ძველი მორაგბე და ცნობილი მოქანდაკე გია ჯაფარიძეც მხარში ამოგვიდგა და მესამე წელია, მის მიერ უსასყიდლოდ დამზადებული პრიზით ჯილდოვდება ჩვენს მიერ გამოკითხულ ჟურნალისტთა რჩეული. საინტერესოა, რომ მეორედ ჯილდო ვერცერთმა ფეხბურთელმა ვერ მოიპოვა. წლევანდელმა ლაურეატმა აკაკი დევაძემ შარშანწინ 3 ქულა დააგროვა, შარშან — 5, წელს კი ყველას აჯობა და არცთუ შემთხვევით: ვერავინ გაიხსენებს დევაძის არათუ ჩაგდებულ თამაშს, მისი მიზეზით გაშვებულ გოლსაც კი. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალბანელებთან ტირანაში თამაშის შემდეგ აკი ისიც თქვა, დევაძე და ღმერთი ერთად იდგნენ კარშიო. რუსი ჟურნალისტების და მწვრთნელების ქებას ხომ ბოლო არ უჩანს...

მეორე ადგილზე გასული ქინქლაძე წელს ტრავმებმა, ბევრმა უსარგებლო მოგზაურობამ და უიღბლობამ გატანჯა, ჩვენმა უნდილმა პირველობამაც ხომ „ფეხი ვერ გააშლევინა" ხეირიანად და სრული ძალით — უმდიდრესი პოტენციალის მხოლოდ ნაწილი თუ გამოავლინა: შოთა არველაძე კი შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა — მას შემდეგ, რაც ეროვნულ ჩემპიონატში გამოჩნდა, ოთხივე გამოკითხვაში სამეულს არ გასცილებია და „აბსოლუტურ პირველობაში" ძალზე დიდი სხვაობით ლიდერობს — 232 ქულა. სხვათა შორის, ზემოთ ნახსენებმა სამეულმა პირველ ადგილთა ტოლი ოდენობა — 7-7 მოაგროვა.

„თავისი" ტრადიციული მეოთხე ადგილი. დაიკავა მურთაზ შელიამ. მიუხედავად ამ სეზონში ბრწყინვალე თამაშისა, არც მას გამოუვლენია სრულად თავისი სათამაშო პოტენციალი. კახი ცხადაძე და თემურ ქეცბაია კი ნაკრებში ჩინებული თამაშით „დააფასა" მედიამ, არადა, ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო კლუბებშიც რომ არ გასცდენოდათ თამაშები, ალბათ უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდნენ. ჯამარაულმა და რევიშვილმა თავიანთი საუკეთესო სეზონი ითამაშეს და ესენიც რომ ტრავმებს არ შეეწუხებინა, უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდნენ. ჯამარაულმა და რევიშვილმა თავიანთი საუკეთესო სეზონი ითამაშეს და, ესენიც რომ ტრავმებს არ ესენიც რომ ტრავმებს არ შეეწუხებინა, უფრო „ზემოთაც" მოხვდებოდნენ. ორმა „პროვინციელმა" — კახი გოგიჩაიშვილმა და გიორგი დარასელიამ კი „სამტრედიასა" და „კოლხეთში" კარგი თამაშის წყალობით დაიმსახურეს ჟურნალისტთა ყურადღება. სხვათა შორის, წელს პირველად მოხდა, რომ ჟურნალისტები მხოლოდ 10 ფეხბურთელის მოხსენებას დასჯერდნენ — უწინ ეს რიცხვები შესაბამისად იყო: 20, 23, 16.

გამოკითხვის სრული შედეგები და ინტერვიუ აკაკი დევაძესთან იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე.

# თბილისის „დინამო" ექვსგზის ჩემპიონი!



„დინამო" — „კახეთი". კიკნაძის მესამე გოლი. გიორგი თხინვალელის ფოტო

ჩემპიონობის მოპოვებას ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ სტადიონზე მცირე ზეიმი თუ არა, მილოცვა მაინც ახლავს, გადამწყვეტი მატჩის დასრულებისთანავე რომ იწყება, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში ბევრი რამ ისე გახუნდა და გაუნდილდა, ალბათ ლოგიკური იყო, როცა მსაჯს სასტვენის შემდეგ საქართველოს მეექვსე ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის დინამოელები ერთურთის მოლოცვასღა დასჯერდნენ და როგორც ერთ რიგითი მატჩისას, ისე წყნარად შევიდნენ გასახდელში. არც ფოტოაპარატთა ჩხაკუნი ატეხილა იმ მიზეზით, რომ შეხვედრას ორიოდე ფოტოკორესპონდენტი თუ ესწრება...

მატჩი კი მხოლოდ გასამართილა იყო, რათა „დინამოს" ჩემპიონობა ოფიციალურად გაფორმებულიყო. „კახეთმა" თავიდან კი გაიბრძოლა, მაგრამ მერე ხელები ჩამოუშვა და „დინამომაც" მეთოდურად დაიწყო მისი „დამუშავება": ჯერ იყო, ცქიტიშვილმა ორი ტყუპისცალი გოლი გაიტანა, თუმცა მალევე „თუშმა მეცხვარემ" — გელა ჭვრიტიძემ, კარგა ხნის უთამაშებელმა და გუნდში ორიოდე ტურის წინ დაბრუნებულმა, ეფექტური, მაგრამ სტუმართა ერთადერთი გოლი გაიტანა. ტაიმის მიწურულს კი კიკნაძემ საკუთარი საჯარიმოდან წაილო ბურთი, ვინც „გზაში" შეხვდა, ყველა მოატყუა და ბურთიც შეაგდო. მეორე ტაიმში იაშვილმა, ამ სეზონის ოცდამესამე მატჩს რომ თამაშობდა, ოცდამეოთხე გოლი გაიტანა. ჩვენს ჩემპიონატებში მისი ასაკისას — 17 წლისას 51 მატჩში 43 გოლი ჯერ არავის გაუტანია. არც დემეტრაძემ დატოვა უგოლოდ მინდორი, მატჩის მიწურულს კი მსაჯის სასტვენი და იაშვილის საგოლე დარტყმა ერთმანეთს დაემთხვა და მერვე გოლი, რომელიც 599-ე უნდა ყოფილიყო „დინამოსთვის" ჩემპიონატებში, არ ჩაითვალა. ჩემპიონთა მწვრთნელმა კი მატჩის შემდეგ ეს განაცხადა: სოლიდური ანგარიშის მიუხედავად უკმაყოფილო ვარ, ყველა საფეხბურთო კომპონენტში ცუდად გამოვიყურებოდით, განსაკუთრებით საგოლე მომენტების გამოუყენებლობა მაფიქრებს. ახალ სეზონში, გუნდში ბევრი რამ შეიცვლება, საქმესაც სხვაგვარად მოვეკიდებით. რამდენიმე ფეხბურთელს უეჭველად შევიმატებთ და ევროთასებზე უკეთ გამოსვლასაც შევეცდებითო.

მამუკა კვანტალიანი

**P.S.** ოციოდე წლის ევროპული „ოქროს ბუცი" ლამის რუმინელთა შინაური პრიზი გახდა. ვირეშმაკობა ბოლოს აკი გამჟღავნდა: იქაური ბომბარდირები თურმე ბოლო ტურებში იგიჟებდნენ თავს და ხუთი-ექვსი გოლი გაჰქონდათ. ამაზე ერთი ამბავი ატყდა და „ოქროს ბუციც" გააუქმეს. არადა, ახლაც რომ თამაშდებოდეს, ქართველს ვერავინ აჯობებდა. დასტურად ბოლო ტურიც კმარა: ბომბარდირობის მაძიებლებმა, ფოთელმა დარასელიამ და ქუთაისელმა ხუნდაძემ 9-9 გოლი გაიტანეს...

## ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

ბოლო, XXX ტური, 31 მაისი.

სამტრედია 3:4 ზუგდიდი

დინამო 7:1 კახეთი

შევარდენი 4:2 იბერია

დურუჯი 2:4 მარგვეთი

კოლხეთი 10:5 სამგურალი

ტორპედო 11:4 საპოვნელა

ბათუმი 3:0 მეტალურგი

მეტალურგი არ გამოცხადდა

გურია 0:0 დილა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 25 | 3 | 3 | 125-33 | 78 |
| სამტრედია | 30 | 24 | 2 | 4 | 75-25 | 74 |
| კოლხეთი | 30 | 21 | 3 | 6 | 82-33 | 66 |
| ბათუმი | 30 | 16 | 6 | 8 | 69-40 | 54 |
| ტორპედო | 30 | 15 | 2 | 13 | 69-51 | 47 |
| ზუგდიდი | 30 | 14 | 4 | 12 | 58-54 | 46 |
| მეტალურგი | 30 | 12 | 8 | 9 | 48-36 | 44 |
| დილა | 30 | 10 | 7 | 13 | 25-35 | 37 |
| მარგვეთი | 30 | 10 | 6 | 14 | 35-53 | 36 |
| შევარდენი | 30 | 8 | 8 | 14 | 35-48 | 32 |
| იბერია | 30 | 9 | 4 | 17 | 42-58 | 31 |
| კახეთი | 30 | 7 | 10 | 13 | 37-59 | 31 |
| გურია | 30 | 8 | 6 | 16 | 36-81 | 30 |
| დურუჯი | 30 | 8 | 3 | 19 | 28-65 | 27 |
| საპოვნელა | 30 | 6 | 6 | 18 | 38-87 | 24 |
| სამგურალი | 30 | 5 | 6 | 19 | 35-78 | 21 |

## 7 ივნისი: უელსი - საქართველო

...საქართველოს ნაკრებმა, შესაძლოა, კვლავ უქინქლაძეოდ ითამაშოს. როგორც ჩივაძემ გუშინ გვითხრა, ქინქლაძე, ნემსაძე და ჯამარაული ნაკრებთან ერთად კი ივარჯიშებენ, მაგრამ ამათი კარდიფში წასვლა ექიმებზე იქნება დამოკიდებული. ეროვნულმა გუნდმა მოისაკლისა ჰეპატიტიანი რევიშვილი და კუნთდაჭიმული კუდინოვიც. შეკრებაზე, რომელიც გუშინ დაიწყო, ჩივაძის განკარგულებაში ჯერჯერობით 16 ფეხბურთელია: დევაძე, ზოიძე, ბერაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, ლობჟანიძე, ღუდუშაური, ცქიტიშვილი, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ტუღუში, შოთა არველაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია და გიორგი კილასონია.

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები, აგრეთვე ჟურნალისტები და ოფიციალური პირები (სულ 70 კაცი) კარდიფს ორშაბათ დილით გაემგზავრებიან. ჩვენი დელეგაცია დაბინავდება „Posthouse Hotel"-ში, რომელიც „არმზ პარკს", სადაც თამაში უნდა გაიმართოს, 300 მეტრითაა დაცილებული. ეროვნულ გუნდთა შეხვედრას ოთხშაბათს ფინელ მსაჯთა ბრიგადა წარუძღვება: ილკა კოპო, ტაპიო ილი-კარო და ინგვე შიობლომი. ფინელ არბიტრებს ადრე სამჯერ უმსაჯიათ თბილისის „დინამოს" მატჩები ევროთასებზე: ანდრეს მატსონმა დანიის „ბკ კოპენჰაგენთან" (2:1) და დასავლეთი ბერლინის „ჰერტასთან" (1:0), სიმო რუოკონენმა კი ბუქარესტის „ვიქტორიასთან" (0:0). როგორც ხედავთ, ფინელთა ნამსაჯი მატჩი ჩვენებს არ წაუგიათ.

# საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი: აკაკი დევაძე!







10 წლის წინ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში...

სარბიელელების მერე ოთარ გაბელია პირველი იყო, ვინც საქართველოს 1994-95 სეზონის ლაურეატის ვინაობა შეიტყო. ოთარს გუშინწინ ჩივაძის კაბინეტში შევხვდი და [illegible] ტკივილი გავუქარვე. ცხადია, [illegible] საუკეთესო ფეხბურთელობა ცნობილ მეკარეს გულგრილად არ მიუღია. „ჟურნალისტების არჩევანი ჩემთვის მოულოდნელი სულაც არაა. მე თუ მკითხავთ, ამ სეზონს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა — შოთა და დევაძე, საუკეთესო ფეხბურთელსაც ამ ორს შორის ველოდი" — თქვა ეროვნული გუნდის მეკარეთა მწვრთნელმა.

— წინა გამოკითხვებისგან განსხვავებით ამჯერად ჩვენს კოლეგებს მარტო დასახელებას კი არა, საკუთარი არჩევანის დასაბუთებაც ვთხოვეთ. თქვენ როგორ დაახასიათებდით მეკარე დევაძეს?

— აკაკი 11-12 წლის იყო, პირველად რომ ვნახე და მივხვდი — ეს ბიჭი მეკარედ იყო დაბადებული. კაკოს გამორჩეული გამბედაობა და სისხარტე პატარაობიდანვე მოსდევს, ფიზიკური მონაცემებიც რიგიანი აქვს, ამასთან, კარგი პიროვნებაა და სამაგალითო შრომისმოყვარეობითაც გამოირჩევა. რაც შეეხება ამ სეზონს, ის მართლაც საუკეთსო იყო დევაძის კარიერაში: შესარჩევ მატჩებში ოთხი გოლიდან არცერთი მისი ბრალი არ იყო, სოფიასა და განსაკუთრებით ტირანაში ჩინებულად ითამაშა, თუმცა საუკეთსო მატჩად მაინც გერმანიასთან ჩატარებულს ვთვლი. მოკლედ, მიმაჩნია, რომ დევაძე და „როსტსელმაში" ნამდვილად არ შეეფერებიან ერთმანეთს და იმედი მაქვს, მომავალში კაკო თავისი დონის შესაფერისი ევროპული გუნდის კარს დაიცავს. ბოლოსდაბოლოს, „რეალის" მეკარე ბუიო, ვისი თამაშის მანერაც დევაძისას ჩამოგავს, მხოლოდ უდიდესი გამოცდილებით თუ ჯობნის თქვენს რჩეულს.

...გაბელია ის კაცი არაა, საგაზეთოდ გულს თავი მოხსნას და რასაც არ ფიქრობს, ის ილაპარაკოს. ჩვენმა კოლეგებმაც ობიექტურად შეაფასეს განვლილი სეზონი, თავ-თავიანთი რჩეულები დაასახელეს და არჩევანიც დაასაბუთეს. აქ არ მოვიყვანთ ყველა ჟურნალისტის არგუმენტებს, მხოლოდ სეზონის საუკეთე ფეხბურთელის ზოგ დახასიათებას გაგაცნობთ.

... ნაკრების შეხვედრებში არათუ პრაქტიკულად უშეცდომოდ, არამედ, დიდებულადაც ითამაშა, ალბანეთში კი მეტად საჭირო გამარჯვება პირადად მან შეინარჩუნა (ილია ბაბუნაშვილი).

... შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების წარმატებები დევაძის კარგმა თამაშმა განაპირობა (გია თვალაბეიშვილი).

... თამაშობდა ორ აუტსაიდერ კლუბში და ამათმა გარკვეულ წარმატებებს მხოლოდ დევაძის ოსტატობის წყალობით მიაღწიეს (ბადრი კეთილაძე).

... ამ ფეხბურთელის ოსტატობასა და პროფესიონალიზმში არასდროს დავეჭვებულვარ, მაგრამ ამ სეზონში მართლაც საოცრად არგად ითამაშა. მას თავის ამპლუაში ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ვთვლი (მამუკა კვანტალიანი).

ზურაბ მეძველია



## აკაკი დევაძე

დაიბადა 1971 წლის 28 ნოემბერს თბილისში
სიმაღლე 185 სმ, წონა 77 კგ
ბავშვობის მწვრთნელები: ბობი კოჩაძე, დოდიკ ხუნდაძე, რეზო გაგუა, სერგო აპრესიანი

ეროვნულ ნაკრებში 12 მატჩი (გაუშვა 10 გოლი)
საქართველოს ჩემპიონატის II პრიზიორი (1993 და 1994)

| | | მატჩი |
|---|---|---|
| 1990 | „იბერია" თბილისი | 8 |
| 1991 | „მარგვეთი" ზესტაფონი | 18 |
| 1991-92 | „მარგვეთი" ზესტაფონი | 33 |
| 1992-93 | „შევარდენი 1906" თბილისი | 31 |
| 1993-94 | „კოლხეთი 1913" ფოთი | 20 |
| 1994 | „შევარდენი 1906" თბილისი | 8 |
| 1995- | „როსტსელმაში" როსტოვი | 9 |

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. 1994-95

### «სარბიელის» გამოკითხვა

| შედეგები | | | ქულა | I 5 | II 3 | III 1 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აკაკი დევაძე | შევარდენი როსტსელმაში | 62 | 7 | 9 | - |
| 2 | გიორგი ქინქლაძე | დინამო | 48 | 7 | 3 | 4 |
| 3 | შოთა არველაძე | დინამო ტრაბზონსფორი | 47 | 7 | 3 | 3 |
| 4 | მურთაზ შელია | დინამო ვლადიკავკაზი | 31 | 3 | 2 | 10 |
| 5 | კახი ცხადაძე | აინტრახტი | 30 | 3 | 4 | 3 |
| 6 | თემურ ქეცბაია | ა.ე.კ. | 19 | 1 | 3 | 5 |
| 7 | გოჩა ჯამარაული | დინამო | 13 | 1 | 2 | 2 |
| 8 | ზაზა რევიშვილი | დინამო ვლადიკავკაზი | 6 | - | 2 | - |
| 9 | კახი გოგიჩაიშვილი | სამტრედია | 4 | - | 1 | 1 |
| 10 | გიორგი დარასელია | კოლხეთი 1913 | 1 | - | - | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი („დრონი") — | ქინქლაძე | ცხადაძე | ქეცბაია |
| გია ახალაძე („სარბიელი") — | ცხადაძე | ქეცბაია | შელია |
| ილია ბაბუნაშვილი („სარბიელი") — | დევაძე | რევიშვილი | შელია |
| ბესო ბარათაშვილი („სტადიონი") — | შ. არველაძე | ქინქლაძე | ქეცბაია |
| დათო ბერიაშვილი („ქართული ფეხბურთი") — | ქინქლაძე | ჯამარაული | ცხადაძე |
| ვახტანგ ბზიკაძე („ბურთი და მოედანი") — | შ. არველაძე | ქეცბაია | შელია |
| სოლომონ გულისაშვილი („რეზონანსი") — | შ. არველაძე | დევაძე | ჯამარაული |
| ავთანდილ გურასაშვილი („ოლიმპიელი") — | ცხადაძე | დევაძე | ქინქლაძე |
| გია თვალაბეიშვილი („სტადიონი") — | ჯამარაული | დევაძე | შელია |
| ბადრი კეთილაძე („ბურთი და მოედანი") — | შ. არველაძე | დევაძე | შელია |
| ფრიდონ კერვალიშვილი („ბურთი და მოედანი") — | შელია | დევაძე | ცხადაძე |
| მამუკა კვანტალიანი („სარბიელი") — | დევაძე | შელია | ქინქლაძე |
| მამუკა კვარაცხელია („სარბიელი") — | შ. არველაძე | დევაძე | ქინქლაძე |
| მერაბ მამულაშვილი („ქართული ფეხბურთი") — | დევაძე | შ. არველაძე | ცხადაძე |
| არმაზ მეტრეველი (ტელევიზია, I არხი) — | ქინქლაძე | შ. არველაძე | ქეცბაია |
| ზურაბ მეძველია („სარბიელი") — | დევაძე | ქინქლაძე | შელია |
| თენგიზ პაჭკორია (საქინფორმი) — | ქინქლაძე | შ. არველაძე | შელია |
| გია პლატონიშვილი („საქართველოს რესპუბლიკა") — | ქინქლაძე | ცხადაძე | შელია |
| ვალერი ტორონჯაძე (რადიო) — | შ. არველაძე | ქეცბაია | გოგიჩაიშვილი |
| გია ტუხაშვილი („ქართული ფეხბურთი") — | ცხადაძე | ჯამარაული | ქინქლაძე |
| კახა ფაჩუაშვილი („კავკასიონი") — | დევაძე | ცხადაძე | ქეცბაია |
| დავით შარაბიძე („მარჯანი") — | დევაძე | ქინქლაძე | შელია |
| რევაზ შენგელია („სარბიელი") — | შელია | დევაძე | ქეცბაია |
| მამუკა ჩიხლაძე („სარბიელი") — | ქინქლაძე | რევიშვილი | შელია |
| რამაზ ჩხიკვაძე (ტელეკომპანია „ივერიონი") — | დევაძე | ცხადაძე | დარასელია |
| სანდრო ცნობილაძე (რადიო) — | ქინქლაძე | შელია | შ. არველაძე |
| ზაზა წულაძე („7 დღე") — | შელია | დევაძე | შ.არველაძე |
| ჯემალ ჭიპაშვილი („ლელო") — | შ. არველაძე | დევაძე | ჯამარაული |
| თამუნა ჯიშკარიანი (ტელევიზია, II არხი) — | ქეცბაია | გოგიჩაიშვილი | შ. არველაძე |

ეროვნული ბიბლიოთეკა





აკაკის ოჯახი: მანონი და ოთხი წლის სოფიკო

ათი-თხუთმეტი წლის წინ გლდანის მასივში ხშირად ნახავდით ასეთ სურათს: სვანურქუდიანი, წვეროსანი კაცი ცხრა-ათი წლის ბიჭებს ფეხბურთში სავარჯიშოდ მოუძღვებოდა და მთელი უბანი ამათ ყივილ-ხივილს მიჰქონდა. ის კაცი ან გარდაცვლილი ბობი კოჩაძე გახლდათ, ტელევიზიის თანამშრომელი, ფეხბურთის ფანატიკოსი, საკუთარ ფულს და მთელ თავისუფალ დროს ამ პატარა ბიჭებს რომ ახმარდა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ერთ-ერთი მათგანი — „დევა", ანუ პატარა აკაკი დევაძე საქართველოს ნაკრების კარს დაიცავდა და უცხოელი მწვრთნელები კალთებს დაახევდნენ, არა ჩემთან გადმოდი, არა ჩემთანო...

საფეხბურთო ანბანის სწავლის შემდეგ „დევა" „ავაზაშია" ლოდიკ ხუნდაძესთან, შემდეგ კი იყო „ნორჩ დინამოელი" და რეზო გაგუა. თუმცა იყო რა სათქმელია — მას მერე ყრმობისდროინდელი მწვრთნელი, ფაქტიურად, შეგირდთან ერთად მიაბიჯებს მისი სპორტული კარიერის გზაზე.

# წამალი სიცხიანი მეკარისთვის

„სარბიელის" მესამე გამოკითხვაში სპორტულ ჟურნალისტთაგან საუკეთესოდ აღიარებულ აკაკი დევაძეს გლდანში საკუთარ ბინაში მივაკითხე. ახაგამომცხვარი ლაურეატი სიცხით გათანგული დამიხვდა და მოულოდნელი სტუმრობით დაბნეული კარგა ხანს გაკვირვებული მიყურებდა. ის იყო, საქმის ვითარება ავუხსენი და ... პოი საოცრებავ: გლდანში დენი მოვიდა, ტელეფონიც აწკრიალდა და გარემო უჩვეულოდ გამოცოცხლდა. სანამ აკაკის მეუღლე მანონი და პატარა სოფიკო გაზეთისთვის გამოსადეგ სურათებს ეძებდნენ, მასპინძელს მეათასედ ვუხსნიდი სტუმრობის მიზეზს, თანაც ლამის იყო ძალით ვაცმევდი და მალე რედაქციაში ძვირფასი „ძღვენით" დავბრუნდით. აკაკიმ ესლა მითხრა, მე თუ სიცხემ ამიწია, შენ ჩივაძეს ვერ გადაურჩებიო და ბურთზე არანაკლები ოსტატობით დაიწყო ჩვენი კითხვების მოგერიება...

**— რას გრძნობ, შენი პირველობის ამბავი რომ შეიტყვე?**

— გუშინ ორმოცი გრადუსი სიცხე მქონდა და ჯერაც ვერა ვარ ჯანზე. ვგრძნობ, რომ რაღაც ძალზე კარგი მოხდა, თუმცა ბოლომდე ჯერ ვერ გავრკვეულვარ.

**— ელოდი პირველობას?**

— არც მიფიქრია, მუდამ მეგონა, ჟურნალისტებს და მაყურებლებს მხოლოდ ფორვარდები აინტერესებთ და მეკარე მუდამ ჩრდილში რჩება-მეთქი.

**— მიუხედავად ამისა. იმავე ჟურნალისტებმა რუსეთში სამჯერ დაგასახელეს გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" ტრადიციულ გამოკითხვაში მატჩის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, რაც უპრეცენდენტო ფაქტია ამ გაზეთის ისტორიაში, თანაც წაგებული თამაშების მერეც კი საუკეთესოდ მთვლიდნენ.**

— ეჰ, შენ მაინც ხომ ნახე, რა გუნდში ვთამაშობ, ჰოდა, როცა 0:20-ის ნაცვლად 0:2 ვაგებთ, დამასახელებენ, აბა, რა იქნება...

... ბოლო ტურში „როსტსელმაშმა" ვოლგოგრადში „როტორთან" 1:4 წააგო. აი, რა თქვეს დევაძეზე:

ვლადიმერ ნიდერგაუსი („როტორის" საუკეთესო მოთამაშე): მხოლოდ მეცხრე (?!) ცდაზე გავუტანე დევაძეს. დღეს მისი დღე იყო. მართალი უთქვამთ, კარგი მეკარე — ნახევარი გუნდიაო. სასწაულებს სჩადიოდა. ის რომ არა, როსტოველებს „მშრალზე" მეტს შევუგდებდით. (სოჭელებს 7:0 მოუგეს მ.კ.)

ვიქტორ პროკოპენკო („როტორის" მთავარი მწვრთნელი): უნდა ვაღიარო, რომ კარგა ხანია მეკარის ასეთი თამაში არ მინახავს. ხუთჯერ თუ ექვსჯერ „მკვდარი ბურთი" აიღო.

ალექსანდრ მელნიკოვი (ჟურნალისტი): როსტოველთა დაცვა ვერ უმკლავდებოდა ვოლგისპირელთა შტურმს და მხოლოდ ციბრუტივით მოტრიალე დევაძე შველოდა გუნდს...

მატჩის შემდეგ ვოლგოგრადელთა მწვრთნელს, პროკოპენკოს სულ ბოდიშები უხდია აკაკისთვის — სეზონის წინ ჩვენთან რომ იყავი და ვერ მოგხედეო. იქვე შეუთავაზებია, მეორე წრეში ჩვენთან გადმოდიო (რუსეთში დაშვებულია ამგვარი რამ). ბოლოს კი დაუმატებია, შენი როსტოვური მისამართი არ გვინდა, მიწაშიც რომ ჩაძვრე, იქაც მოგაგნებთო...

**— აკაკი, არ აპირებ პროკოპენკოს წინადადების მიღებას?**

— თითქმის ყაბულსა ვარ. როსტოვში მეტი აღარ შემიძლია, რაც უნდა მოეცა ადაპტაციის პერიოდში სუსტ გუნდში თამაშს, უკვე მივიღე, ახლა კი დროა ძლიერ გუნდში ვცადო ბედი. „როტორი" სამეულისთვის იბრძვის, თანაც სექტემბრიდან უეფას თასზე იასპარეზებს. პროკოპენკოს სიხარულისაგან კინაღამ ენა ჩაუვარდა, როცა გაიგო, რომ კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებინა როსტოვში...

**— ჟურნალ „გოლის" 1993 წლის ნოემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად რომ გცანით, მითხარი, საქართველოში კიდევ ორ-სამ წელს გავჩერდები და მერე უცხოეთში წავალო. ასეც მოიქეცი. რუსეთში რამდენ ხანს აპირებ დარჩენას?**

— დიდი-დიდი ორი სეზონი. მერე საზღვარგარეთ წავალ, ოღონდ აუცილებლად ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის ძლიერ კლუბში.

**— სად გირჩევნია თამაში?**

— ესპანეთში. ისე, არც ბუნდესლიგაზე ვიტყვი უარს.

**— ძალიან ხომ არ შევტოპეთ?**

— რატომ? ვგრძნობ, რომ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. რუსეთში ორი წელი სატრამპლინოდ მინდა. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ უცხოეთში წარმატებით ვითამაშებ...

**— უცხოელ მეკარეთაგან უფრო ვის აფასებ?**

— პრიუდომს. ჩემი სტილის მეკარეა. მე, გაბელია, ხაპოვი ერთი სტილისანი ვართ, გვიყვარს ნახტომები, მუდმივი მოძრაობა. მსოფლიო ჩემპიონატამდე შმაიხელი იყო ჩემი კერპი, მაგრამ ამერიკის მერე პრიუდომმა გადასძლია.

**— როსტოვში „ტორპედოსთან" წაგებული თამაშის მერე ვალენტინ ივანოვს უთქვამს, ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ ნამეტანი პუბლიკაზე თამაშობსო.**

— გამორიცხულია! ხშირი ნახტომი, ზემოთ ვთქვი, ჩემი სტილია. გერმანიასთან პირდაპირ ხელებში მომივიდა ბურთი, მაგრამ ავიღე და წინ გადავხტი. ეს მამშვიდებს, ძალების მოკრებას და ორიენტაციას მიადვილებს.

**— გამოსვლებზე თამაში ადრე გიჭირდა...**

— გამოვასწორე. შედარებით, რა თქმა უნდა, თორემ გამოსვლაზე თამაში ბევრი მეკარის აქილევსის ქუსლია.

**— გერმანიასთან მარცხის მიზეზად შენ რას მიიჩნევ?**

— მხოლოდ და მხოლოდ გამოუცდელობას. ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ.

**— კი მაგრამ, უელსთან არ იყავით ჩამოყალიბების პროცესში?**

— უელსთან კარგად წაგვივიდა თამაში. პირველი გოლიც ბედზე გავიდა.

**— კიდევ პირველი გოლი! თქვენი მაცქერალი, ლამისაა მთელი საქართველო დააკომპლექსოს ამ ყბადაღებულ პირველი გოლის ფაქტორმა. ნუთუ არ შეიძლება, გაუშვა გოლი და მერე მოიგო თამაში?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. შეიძლება კი არა, საჭიროა, მაგრამ გამოუცდელობა არ გვაძლევს საშუალებას, გონზე მოვიდეთ ამ დაწყევლილი პირველი გოლის მერე. ჩვენი ნაკრების ჩამოყალიბება არ დასრულებულა. ჩვენ ხომ ამ შემადგენლობით თამაში, ფაქტიურად, წელიწადნახევრის დაწყებული გვაქვს, მანამდე კიდევ ერთ ამდენ ხანს რომ გვეთამაშა, თუნდაც აქვე, სომხეთთან, აზერბაიჯანთან ოთხ-ოთხჯერ, ხუთ-ხუთჯერ, ვფიქრობ, ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული გვექნებოდა.

**— ალბანეთთან უსაქმურობამ ისე „შეგაწუხა", მინდორზეც გამოიჭერი და თავდამსხმელებს დაერიე. კინაღამაც დავისაჯეთ ამის გამო. მეკარისთვის ბურთის უკან მიწოდების აკრძალვის ბრალი ხომ არაა, მეკარეები ფეხით თამაშს მეტ დროს რომ უთმობთ?**

— ძალზე კარგი წესი შემოიღეს, ფეხბურთი უფრო დაძაბული გახდა. სწორედ ამიტომაა, ნორმალურ გუნდებში ვარჯიშებზე მეკარეებსაც რომ რთავენ „ორგოლობანასა" თუ „კვადრატში". ისე, როსტოვშიც ჩავიდინე მსგავსი რამ და იქაც კინაღამ დავისაჯე. არ ვიცი, რის გამო, მაგრამ როსტოვში სათოფეზეც არ მაკარებენ მინდვრის მოთამაშეთა ვარჯიშებს. არადა, მეკარეთა სპეციალური მწვრთნელი იქ არა ჰყავთ. მეორე მწვრთნელი მავარჯიშებს. თბილისში ნოდარ აკობიასგან იმდენი ვისწავლე, კარგად ვიცი რას ნიშნავს მეკარეთა მწვრთნელი. ამიტომ ძალზე გამიხარდა, როცა ჩივაძემ ოთარ გაბელია მოიყვანა ნაკრებში საამისოდ.

**— უელსთან მატჩიც კარზეა მომდგარი...**

— როგორც გავიგე, მაიკ სმიტს უთქვამს, საქართველოსთან 0:5-ის მერე გავიგე, როგორ უნდა ვითამაშოთო, ნაკრებიც ძალზე შეუცვლიათ. ადრე გითხარი, ყველაზე ძნელი თამაში ალბანელებთან შინ გველის-მეთქი, მაგრამ „მკვდარი" ალბანელები რომ ვნახე, მივხვდი, ყველაზე მძიმე თამაშები წინ იყო. ალბანეთის მერე მივხვდი, რას ნიშნავს მაყურებლის ფაქტორი — ისე ღრიალებდნენ ტირანაში, კინაღამ შიში შემეპარა, საქართველოში კი 100 ათასი კაციც რომ იყოს ტრიბუნაზე, თეატრივითაა, ხმას არ იღებენ. როსტოვში 12 ათასი კაცი ისე გუგუნებს, ლამისაა ყურები გაგვისკდეს.

**— გავიგე, „სპარტაკთან" თამაშის მერე როსტოველ დიქტორს სტადიონზე გამოუცხადებია ფეხბურთელთათვის: ეს თორმეტი ათასი კაცი დევაძის საყურებლად რომ დადის სტადიონზე, დანარჩენმა ათმაც იქონიეთ ნამუსიო.**

— ეგეთები აღარ მაკვირვებს. გულშემატკივართა სახლში ამოკითხვა და მოთქმა, არ დაგვტოვოო, ჩვეულებრივი ამბავია.

**— რუსეთში ვინაა დევაძის მოცილე?**

— მე ვარ თავად ხაპოვის მოცილე. კარგად თამაშობს სოჭელი კრიუკოვიც, საერთოდ კი, რუსეთში ყველა გუნდს კარგი მეკარე ჰყავს, ოღონდ ერთს ვიტყვით, ქართველი მეკარეებთან ნიჭით ბევრი ვერ მოვა, ეგაა, ჩვენებს პირობები არა აქვთ.

**— ევროთასებზე არსენალელი სიმენის და მილანელ როსის მიერ გაშვებული გოლები მათი შეცდომა იყო, თუ მეტოქეთა დამსახურება?**

— როსი აშკარად შეცდა, სიმენი კი, ვფიქრობ, ბედმა გასწირა. გინახავს ოდესმე ასეთი დარტყმა?

**— რუსეთისა და საქართველოს ჩემპიონატებში რა უმთავრეს განსხვავებას ხედავ?**

— იქ ბრძოლაა, გრძნობ, რომ პროფესიონალი ხარ, ყველა პირობა გვაქვს, მარტო ფეხბურთზე იფიქრო. აქ კი... ჩვენს პირველობაზე იყო ადრე ბრძოლა, განსაკუთრებით მაშინ, მე რომ „შევარდენში" ვთამაშობდი და „დინამოს" ვეჭიდავებოდით. მაშინ ჩვენ და „დინამო" ოცი თავით მაღლა ვიდექით დანარჩენებზე, „დინამო" — ერთი თავით მაღლა ჩვენზე. ფოთში გადავედი და ისევ „დინამოსთან" ჭიდილმა მომიწია, მაგრამ ეგრე სადაა, ერთ წელიწადში „დინამოს" აჯობო? დინამოსნაირი გუნდის დაყენებას 3-4 წელი სჭირდება, თანაც ყველა პირობა უნდა გქონდეს.

**— ადრე მითხარი, რომ თუ რომელიმე მწვრთნელთან ისურვებდი საქართველოში მუშაობას, გიგლა იმნაძესთანო.**

— მე ბევრ ჩინებულ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ იმნაძის მიერ გადმოღებული ფომენკოსეული სტილი, როცა მთელი გუნდით უტევ და მთელი გუნდით იცავ თავს — ყველაზე მისაღები იყო ჩემთვის.

**— ჩაწყობილი მატჩები თუ გითამაშია?**

— მუდამ ვერიდებოდი, თუმცა ორჯერ მაინც მომიწია. ან გამოცვლა მომითხოვია, ანაც მწვრთნელი გამიფრხილებია, მე ჩემსას მაინც გავაკეთებ-მეთქი.

**— გოლი თუ გაგიშვია „შეკვეთით"?**

— არასდროს.

**— წლევანდელ გამოკითხვაში შენ ვის დაასახელებდი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელებად?**

— ცხადაძეს, შელიას, ქინქლაძეს — ამ თანმიმდევრობით. ცხადაძის უკან თავს იმედიანად ვგრძნობ. გერმანიასთან იგი საუკეთესო იყო, უელსთანაც. შენ რა იცი, რას ნიშნავს მეკარისთვის ცხადაძისნაირი მცველი. ზუსტად იგივე შემიძლია გავიმეორო შელიაზეც, ოღონდ პირველ ნომრად მაინც ცხადაძეს ვამჯობინებ. იგი ნაკრების ლიდერია. ქინქლაძეზე კი მოკლედ გეტყვი — ქინქლაძეა.

**— შენ მეკარის პოზიციიდან აფასებ, მე კი უფრო ზოგადად გკითხე.**

— მეკარისთვის უმჯობესია გუნდში ცხადაძე და შელია ჰყავდეს, ვიდრე თუნდაც ქინქლაძე.

**— ცხადაძე და შელია მცველები არიან, ქინქლაძე — ნახევარმცველი. საქართველო კი ფორვარდების ქვეყანაა. ამათზეც ვთქვათ...**

— ჩინებული ფორვარდები გვყავს. შოთა და არჩილ არველაძეები, ყიზილაშვილი, ჟღულაშვილი, მიშა ჯიშკარიანი. ერთხელ უკვე გითხარი, რომ ნაკრების თავდასხმაში საუკეთესო დუეტად შოთასა და ყიზილაშვილის წყვილი მიმაჩნია. შოთას შექება არ უნდა, მისი ძალა ყველამ იცის. ყიზილაშვილს კი ჩემზე უკეთ არავინ იცნობს: ვერ წარმოიდგენ, რამხელა პოტენციალის თავდამსხმელია. ალბანეთთან მატჩში ეს ის ყიზილაშვილი არ იყო. თავის საუკეთესო მატჩები ნაკრებში დათოს ჯერ კიდევ წინ აქვს.

**— რუსეთის ჩემპიონატში შენს მეტოქე გუნდებში ბევრი ქართველი თამაშობს, ბევრი მათგანი შენი ბავშობის ძმაკაცია. ვლადიკავკაზში მატჩის წინ შენ და ჟაველაშვილმა ისე გაიხარეთ ერთმანეთის ნახვით, ლამის იტირეთ. მინდორზე კი ჟაველაშვილი ყველაზე მეტს გიტევდა და კინაღამ გოლიც გაგიტანა.**

— ხომ არ გავატანინე! ყაველა ჩემი ძმაკაცია, მოედანზე კი — მტერი, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის სხვა გაგებით. მე სხვაგვარად არ შემიძლია, ვფიქრობ, მიშაც იგივეს გეტყვის. ასევე ვითამაშებ ნებისმიერი ქარველი ფეხბურთელი წინაალმდეგ. მე პროფესიონალი ვარ!

**— თქვენი თაობა რეზო გაგუას ხელში გაიზარდა. რამდენჯერაც უნდა ვნახო იგი, მუდამ შენზე ვსაუბრობთ ხოლმე. ადრე ყველა გუნდში თან დაგყვებოდა, ახლა კი, ბუნებრივია, ველარ ახერხებს. არ გიჭირს განშორება სიყრმის მწვრთნელთან?**

— ჩვენ არც დავშორებულვართ. თითქმის ყოველდღე ვურეკავ და რჩევას ვეკითხები. თბილისში რომ ჩამოვდივარ, ჯერ მასთან მივდივარ და მერე შინ. მოკლედ ისევ ერთად ვართ და ასეც ვიქნებით მუდამ...

... კითხვა-პასუხში, ლაპარაკ-ლაპარაკში უქეიფოდ მყოფი სტუმარი თითქოს გამოგვიკეთდა, გასახარმა ამბავმა ხომ აშკარად გაახალისა. შინაც, როგორც აქეთობას, ჩვენივე მანქანით გავისტუმრეთ, ასე რომ, ეს ინტერვიუ მცირე თერაპიულ კურსად შეიძლება ჩავუთვალოს.

მამუკა ქვარაცხელია



აკაკი და... ზანგები არ გეგონოთ: გია ჯიშკარიანი და გია გურული

# 7 ივნისი. უელსი – საქართველო

## უელსის ნაკრების შედეგები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში

| | | |
|---|---|---|
| **1962-63. +0 =1 -1 2-4 გავარდა მერვედფინალში** | | |
| 7 ნოემბერი, 1962. ბუდაპეშტი | უნგრეთი | 1:3 |
| 20 მარტი, 1963. კარდიფი | უნგრეთი | 1:1 |
| **1966-68. +1 =2 -3 6-12 ჯგუფში III ადგილი** | | |
| 22 ოქტომბერი, 1966. კარდიფი | შოტლანდია | 1:1 |
| 16 ნოემბერი, 1966. ლონდონი | ინგლისი | 1:5 |
| 12 აპრილი, 1967. ბელფასტი | ჩრდ. ირლანდია | 0:0 |
| 21 ოქტომბერი, 1967. კარდიფი | ინგლისი | 0:3 |
| 22 ნოემბერი, 1967. გლაზგო | შოტლანდია | 2:3 |
| 28 თებერვალი, 1968. რექსჰემი | ჩრ.ირლანდია | 2:0 |
| **1970-71. +2 =1 -3 5-6 ჯგუფში III ადგილი** | | |
| 11 ნოემბერი, 1970. კარდიფი | რუმინეთი | 0:0 |
| 21 აპრილი, 1971. სუონსი | ჩეხოსლოვაკია | 1:3 |
| 26 მაისი, 1971. ჰელსინკი | ფინეთი | 1:0 |
| 13 ოქტომბერი, 1971. სუონსი | ფინეთი | 3:0 |
| 27 ოქტომბერი, 1971. პრაღა | ჩეხოსლოვაკია | 0:1 |
| 24 ნოემბერი, 1971. ბუქარესტი | რუმინეთი | 0:2 |
| **1974-76. +5 =1 -2 15-7. გავიდა მეოთხედფინალში** | | |
| 4 სექტემბერი, 1974. ვენა | ავსტრია | 1:2 |
| 30 ოქტომბერი, 1974. კარდიფი | უნგრეთი | 2:0 |
| 20 ნოემბერი, 1974. სუონსი | ლუქსემბურგი | 5:0 |
| 16 აპრილი, 1975. ბუდაპეშტი | უნგერთი | 2:1 |
| 1 მაისი, 1975. ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი | 3:1 |
| 19 ნოემბერი, 1975. რექსჰემი | ავსტრია | 1:0 |
| 24 აპრილი, 1976. ზაგრები | იუგოსლავია | 0:2 |
| 22 მაისი, 1976. კარდიფი | იუგოსლავია | 1:1 |
| **1978-79. +3 =0 -3 11-8 ჯგუფში III ადგილი** | | |
| 25 ოქტომბერი, 1978. რექსჰემი | მალტა | 7:0 |
| 29 ნოემბერი, 1978. რექსჰემი | თურქეთი | 1:0 |
| 2 მაისი, 1979. რექსჰემი | გფრ | 0:2 |
| 2 ივნისი, 1979. ლა ვალეტა | მალტა | 2:0 |
| 17 ოქტომბერი, 1979. კიოლნი | გფრ | 1:5 |
| 21 ნოემბერი, 1979. იზმირი | თურქეთი | 0:1 |
| **1982-83. +2 =3 -1 7-6 ჯგუფში II ადგილი** | | |
| 22 სექტემბერი, 1982. სუონსი | ნორვეგია | 1:0 |
| 15 დეკემბერი, 1982. ტიტოგრადი | იუგოსლავია | 4:4 |
| 27 მარტი, 1983. რექსჰემი | ბულგარეთი | 1:0 |
| 21 სექტემბერი, 1983. ოსლო | ნორვეგია | 0:0 |
| 16 ნოემბერი, 1983. სოფია | ბულგარეთი | 0:1 |
| 14 დეკემბერი, 1983. კარდიფი | იუგოსლავია | 1:1 |
| **1986-87. +2 =2 -2 7-5 ჯგუფში II ადგილი** | | |
| 10 სექტემბერი, 1986. ჰელსინკი | ფინეთი | 1:1 |
| 1 აპრილი, 1987. რექსჰემი | ფინეთი | 4:0 |
| 29 აპრილი, 1987. რექსჰემი | ჩეხოსლოვაკია | 1:1 |
| 9 სექტემბერი, 1987. კარდიფი | დანია | 1:0 |
| 14 ოქტომბერი, 1987. კოპენჰაგენი | დანია | 0:1 |
| 11 ნოემბერი, 1987. პრაღა | ჩეხოსლოვაკია | 0:2 |
| **1990-91. +4 =1 -1 8-6 ჯგუფში II ადგილი** | | |
| 17 ოქტომბერი, 1990. კარდიფი | ბელგია | 3:1 |
| 14 ნოემბერი, 1990. ლუქსემბურგი | ლუქსემბურგი | 1:0 |
| 27 მარტი, 1991. ბრიუსელი | ბელგია | 1:1 |
| 5 ივნისი, 1991. კარდიფი | გფრ | 1:0 |
| 16 ოქტომბერი, 1991. ნიურნბერგი | გფრ | 1:4 |
| 13 ნოემბერი, 1991. კარდიფი | ლუქსემბურგი | 1:0 |
| **1994-95. +1 =1 -4 6-15** | | |
| 7 სექტემბერი, 1994. კარდიფი | ალბანეთი | 2:0 |

საუთჰოლი, ვილიამსი, ბოდინი, მელვილი, კოულმენი, გოსი (75 პემბრიჯი), ფილიპსი, სპიდი, რაში, ბლეიკი (80 რობერთსი), გიგზი. გოლები: კოულმენი (9), გიგზი (67)

12 ოქტომბერი, 1994. კიშინიოვი — მოლდოვა 2:3

საუთჰოლი, საიმონსი, ვილიამსი, კოულმენი, ბოუენი, ჰორნი, ფილიპსი, ბლეიკი (84 მელვილი), პემბრიჯი, სპიდი, რობერთსი. გოლები: სპიდი (6), ბლეიკი (70)

16 ნოემბერი, 1994. თბილისი — საქართველო 0:5

საუთჰოლი, ნელსონი (46 წაიმონსი), ბოუენი, მელვილი, კოულმენი, ფილიპსი, ჰორნი, სონდერსი, რაში, პიუზი, სპიდი

14 დეკემბერი, 1994. კარდიფი — ბულგარეთი 0:3

საუთჰოლი, ბოუენი, აიზლვუდი, ჯოუნსი, კოულმენი, მელვილი, ფილიპსი, სონდერსი, რაში, პიუზი, სპიდი

29 მარტი, 1995. სოფია — ბულგარეთი 1:3

საუთჰოლი, ფილიპსი, ბოუენი, კოულმენი, მელვილი, ჯოუნსი (78 კორნფორსი), ჰორნი, სპიდი, პართსონი, გიგზი, სონდერსი. გოლი: სონდერსი (83)

26 აპრილი, 1995. დიუსელდორფი — გერმანია 1:1

საუთჰოლი, ჯოუნსი, საიმონსი, ფილიპსი, ბოუენი, კოულმენი (46 ვილიამსი), სპიდი, ჰორნი, სონდერსი, რაში, პიუზი (89 პართსონი). გოლი: სონდერსი (8)

| | |
|---|---|
| 7 ივნისი, 1995. კარდიფი | საქართველო |
| 6 სექტემბერი, 1995. კარდიფი | მოლდოვა |
| 11 ოქტომბერი, 1995. კარდიფი | გერმანია |
| 15 ნოემბერი, 1995. ტირანა | ალბანეთი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 46 | 19 | 11 | 16 | 61-54 |
| შინ | 23 | 14 | 6 | 3 | 39-14 |
| სტუმრად | 23 | 5 | 5 | 13 | 22-40 |

**კოლუმბიის** ნაკრების მწვრთნელი ფრანცისკო მატურანა ახლა ეკვადორის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. კონტრაქტი ახალ ნაკრებთან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონის შესარჩევი ციკლის ბოლომდე იქნება ძალაში. ეკვადორის ნაკრები 1993 წლიდან, იუგოსლავიელი დუშან დრაშკოვიჩის გაშვების შემდეგ, უმწვრთნელოდ გახლდათ.

**არგენტინის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ცნობილი ლუის სეზარ მენოტი ფეხბურთს შეეშვა, რადგან არჩევნებში მონაწილეობას და სანტა-ფეს გუბერნატორობას აპირებს.

**ეგვიპტე** ბეირუთში ლიბანთან ამხანაგურს თამაშობდა, როდესაც 23-ე წუთზე თავდამსხმელი ჰოსამ ჰასანი კარატეს და კიკ-ბოქსინგის ილეთებით სამ ლიბანელ მეტოქეს დაერია. ჰასანი, ცხადია, გააძევეს. ეგვიპტის საუკეთესო მოთამაშე კი ალექსანდრიის „ოლიმპიკის" აჰმედ აბდულ ელ კასი გახდა.

**მექსიკის** თასის ნახევარფინალში „ამერიკამ" "კრუზაზულთან" 1:2 წააგო.

**ინგლისში** უემბლიზე სამი დღე მიმდინარეობდა ლიგიდან ლიგაში გადასასვლელი შეხვედრები. მესამე ლიგიდან მეორეში „ჩესტერფილდი" ავიდა, რომელმაც „ბერის" 2:0 მოუგო. „ბრისტოლ როვერსისთვის" 2:1 მოგებით მეორიდან პირველისკენ გზა „ჰადერსფილდმა" გაიკაფა. „ჰადერსფილდი" 1924-26 წლებში სამჯერ ზედიზედ იყო ინგლისის ჩემპიონი. ასეთს მის გარდა მხოლოდ ორმა გუნდმა – „არსენალმა" (1933-35) და „ლივერპულმა" (1982-84) მიაღწია. პირველიდან პრემიერლიგაში კი გადავიდა „ბოლტონი", რომელმაც „რედინგს" დამატებით დროში 4:3 სძლია. გოლები დეფრეიტასმა (2), პაატალაინერმა და კოილმა გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ თავიდან „ბოლტონი" 0:2-ს აგებდა და კიდევ გაუმართლა, ასეთი ანგარიშისას მეტოქემ პენალტი რომ ააცილა. „ბოლტონი" ინგლისში" ცნობილი გუნდია, რომელიც 1888 წელს ლიგის დაფუძნებაში მონაწილეობდა. ბოლო ხანს მეტისმეტად დაბეჩავებულს პრეზიდენტად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ნეთ ლოფტჰაუსი მოევლინა. ამის მერე დაიწყო აღზევება – 1988 წელს მე-4 ლიგიდან ავიდნენ და აღმასვლა ისე განაგრძეს, რომ ახლა პრემიერ ლიგაში მოხვდნენ. „ბოლტონმა" წლეულს ლიგის თასის ფინალამდეც მიაღწია. გუნდის კარს სახელგანთქმული პიტერ შილტონი იცავს. ამგვარად, ინგლისის უმაღლეს ჯგუფში 20 გუნდი დარჩა. 4 გავარდნილის ნაცვლად ლიგაში მხოლოდ ორი, „მიდლსბრო" და „ბოლტონი" შევიდა. იგივე გამეორდება გაისადაც, რის შედეგადაც ინგლისურ ოქროს მაძიებელთა რიცხვი თვრამეტამდე შემცირდება და ასეც გაჩერდება. ზევით „არსენალის" ზედიზედ სამჯერ ჩემპიონობა ვახსენეთ. იმ ხანად გუნდში ბრწყინავდა თავდამსხმელი ტედ დრეიკი, რომელმაც კარიერაში 100-ზე მეტი გოლი გაიტანა, ხოლო სტუმრად ერთ შეხვედრაში შეგდებულ გოლთა რეკორდი (7! „ასტონ ვილას" წინაალმდეგ) დღემდე მას ეკუთვნის. დრეიკი წინა კვირაში ღრმად მოხუცი გარდაიცვალა.

## ფეხბურთის რუკასთან



**პორტუგალიამ** ლატვიასთან სათამაშოდ კვლავ მოიწვია ცნობილი პაოლო ფუტრე, რომელსაც მუხლის ტკივილის გამო 18 თვე გაუცდა.

**ირლანდიელი** ნაილ ქვინი „მანჩესტერ სიტიდან" 3 წლით ლისაბონის „სპორტინგში" გადავიდა. თვად „მანჩესტერ სიტი" ყოყმანობს, დაიტოვოს თუ არა მაურიციო გაუდინიო, რომელსაც გერმანიაში ფულის მითვისებას აბრალებენ და საქმე სასამართლოსთან აქვს დასაჭერი.

**შვეიცარიაში** ფიფამ საბოლოოდ დაადგინა, რომ გაისად ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე და 1998 წელს საფრანგეთში მსოფლიოს პირველობაზე ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში იმოქმედებს „უეცარი სიკვდილის" წესი, ანუ თუ 30 წუთი 0:0 არ დამთავრდა, საქმე პენალტებამდე აღარ მივა და პირველივე გოლის გამტანს გამარჯვება მიეკუთვნება.

**იტალიაში** 8-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ 32 წლის რუუდ გულიტი „ჩელსიში" გადავიდა. მისმა ყოფილმა გუნდმა „სამპდორიამ" ვარსკვლავი ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე, უბრალოდ გაუშვა. „ჩელსის" გულიტი იაფი მაინცდამაინც არ არ უჯდება, რადგან 2 წელიწადში მას 1,5 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს. გულიტის მიწვევა და მისი ლიბეროდ თამაში გლენ ჰოდლის იდეა ყოფილა.

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „ნანტმა" „ლიონთან" 1:1 ითამაშა და პირველობა დაამთავრა. „ნანტის" რეკორდი ის გახლავთ, რომ მან ჩემპიონატში ერთადერთი თამაში წააგო.

**ზაირში** მომაკვდინებელი იბოლას ვირუსის მიუხედავად, სამივე ზიმბაბველი ლეგიონერი, მათ შორის ბრუს გრობელაარი, შეკრებაზე ჩასვლას და ზაირში სათამაშოდ გამგზავრებას დაყაბულდა.

**რუსეთმა** იუგოსლავიაში მოიგო ამხანაგური შეხვედრა 2:1.

## ჰოლანდია

გასულ უქმეებზე ბოლო 34-ე ტური გაიმართა. ჩემპიონთა თასის მფლობელმა „აიაქსმა" ბრწყინვალედ დაამთავრა სეზონი, რომელშიც მხოლოდ ერთხელ, ქვეყნის თასის ნახევარფინალში წააგო. შაბათს „აიაქსმა" შინ „ტვენტეს" 3:1 მოუგო, თუმცა ღირშესანიშნავი სხვა რამ იყო: ამ მატჩში ფეხბურთს დაემშვიდობა 32 წლის ფრანკ რაიკაარდი.

ევროთასებზე ამჯერად ჰოლანდიის მხოლოდ 4 გუნდი ითამაშებს: „აიაქსი" – ჩემპიონთა თასზე, „ფეიენოორდი" – თასების თასზე, „როდა" და „ეინდჰოვენი" კი – უეფას თასზე. რაც შეეხება ინტერტოტოს თასს, აქ, წესით, „ტვენტემ" და „ვიტესმა" უნდა ითამაშონ.

ეინდჰოვენელი ბრაზილიელი რონალდო 30 ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 34 | 27 | 7 | 0 | 106-28 | 61 |
| როდა | 34 | 22 | 10 | 2 | 70-28 | 54 |
| პ.ს.ვ. | 34 | 20 | 7 | 7 | 85-46 | 47 |
| ფეიენოორდი | 34 | 19 | 5 | 10 | 66-56 | 43 |
| ტვენტე | 34 | 17 | 8 | 9 | 66-50 | 42 |
| ვიტესი | 34 | 14 | 12 | 8 | 55-44 | 40 |
| ვილემ II | 34 | 13 | 8 | 13 | 44-48 | 34 |
| ვაალვიკი | 34 | 11 | 11 | 12 | 46-49 | 33 |
| ჰეერენვენი | 34 | 12 | 6 | 16 | 47-60 | 30 |
| ბრედა | 34 | 11 | 7 | 16 | 54-60 | 29 |
| ვოლენდამი | 34 | 8 | 13 | 13 | 37-55 | 29 |
| უტრეხტი | 34 | 8 | 11 | 15 | 43-60 | 27 |
| გრონინგენი | 34 | 8 | 10 | 16 | 49-64 | 26 |
| სპარტა | 34 | 8 | 10 | 16 | 42-58 | 26 |
| ნიიმეგენი | 34 | 9 | 7 | 18 | 48-60 | 25 |
| მაასტრიხტი | 34 | 7 | 9 | 18 | 41-71 | 23 |
| გოუ ეჰედი | 34 | 7 | 9 | 18 | 42-77 | 23 |
| დორდრეხტი | 34 | 5 | 10 | 19 | 40-67 | 20 |

## პორტუგალია

კვირას ქვეყნის ჩემპიონატი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიჩნია, რომ 30-ე ტურის მატჩი არბიტრმა უხეში შეცდომებით იმსაჯა და ახლა ლისაბონის ორი გუნდი „სპორტინგი" და „ბენფიკა" ხელახლა შეხვდება ერთმანეთს. თუმცა, ამ მატჩის შედეგი არაფერს ცვლის. „სპორტინგს" ამის გარდა 10 ივნისს თასის ფინალი აქვს ჩასატარებელი „მარიტიმუსთან" და თუ მეორე პრიზიორი გაიმარჯვებს, უეფას თასზე გასულ „ბენფიკასა" და „გიმარაეშს" „ფარენსეც" დაემატება. „პორტუ" კი, ცხადია, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

მომავალ სეზონში ბოლო სამ ადგილზე გასულ გუნდებს ქვედა ლიგიდან აღზევებული „ფელგეირუში", „კამპომაიორი" და „ლეკა" შეცვლიან.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 34 | 29 | 4 | 1 | 73-15 | 62 |
| სპორტინგი | 33 | 22 | 9 | 2 | 57-20 | 53 |
| ბენფიკა | 33 | 21 | 5 | 7 | 59-28 | 47 |
| გიმარაეში | 34 | 16 | 10 | 8 | 54-43 | 42 |
| ფარენსე | 34 | 16 | 5 | 13 | 44-38 | 37 |
| ლეირია | 34 | 13 | 10 | 11 | 41-44 | 36 |
| მარიტიმუ | 34 | 12 | 11 | 11 | 41-45 | 35 |
| ტირსენსე | 34 | 14 | 6 | 14 | 35-34 | 34 |
| ბოავიშტა | 34 | 12 | 8 | 14 | 40-49 | 32 |
| სპ. ბრაგა | 34 | 11 | 10 | 13 | 34-42 | 32 |
| სალგეირუში | 34 | 11 | 7 | 16 | 43-50 | 29 |
| ბელენენსეში | 34 | 10 | 7 | 17 | 30-39 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 34 | 7 | 13 | 14 | 30-40 | 27 |
| შავეში | 34 | 10 | 7 | 17 | 33-49 | 27 |
| ეშტრელა | 34 | 6 | 14 | 14 | 27-40 | 26 |
| უნიაუ | 34 | 7 | 10 | 17 | 30-54 | 24 |
| ბეირა მარი | 34 | 8 | 5 | 21 | 33-54 | 21 |
| ვიტორია | 34 | 3 | 13 | 18 | 25-45 | 19 |

## უეფას სამართალი

სერბებმა ხორვატები დაბომბეს, უეფამ კი ხორვატებს შინ თამაში აუკრძალა, ხოლო სერბებს, როგორც ჩანს, ნებას დართავს. ერთი წინადადებით ასე აღწერება ხორვატიის ფეხბურთის მესვეურთა, მოთამაშეთა და გულშემატკივართა უკიდურესი აღშფოთების მიზეზი. „რატომ უნდა აგოს აგრესორის მოქმედებაზე პასუხი მსხვერპლმა?" – კითხულობს ზაგრებული გაზეთი „ვიესნიკი". შეგახსენებთ, რომ მაისის დამდეგს ზაგრებს ყუმბარები დაუშინეს. დაზიანდა სასტუმრო „პალასი", სადაც თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ჩასული სლოვენიის ნაკრები ცხოვრობდა. უეფას პირველი რეაქცია, ხორვატიაში ინტერტოტოს თასის თამაშის აკრძალვა იყო. არავინ იცის, შეცვლიან თუ არა იუჰანსონი და მისი ორგანიზაცია გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ხორვატებმა თადარიგი დაიჭირეს. „ოსიეკი", ისეთი პირი უჩანს, მეტოქეებს უნგრეთის ქალაქ პეჩში უმასპინძლებს, „ჰაიდუკი" სლოვენიის მარიბორში, ნაკრები კი იტალიაში, ტრიესტში გამართავს „საშინაო შეხვედრებს". მაშინ, როდესაც დამშვიდებული ხორვატები იტალიის ნაკრების მასპინძლობას ზაგრებში კი არა, სპლიტში აპირებდნენ, რათა ფეხბურთი უკვე მთელი ქვეყნისთვის მოედოთ, უეფას ასეთი გადაწყვეტილება, ცხადია, რისხვად დაატყდათ თავს. მათი აღშფოთება კი ერთიორად იმანაც გააძლიერა, რომ, როგორც მოგეხსენებათ, უეფა თავდამსხმელ იუგოსლავიელებს სანქციების მოხსნას უპირებდა. ასეთია შვეიცარიაში მობინადრე საფეხბურთო ბიუროკრატთა სამართალი, რომელთაც ხორვატია იქით იყოს და, ინტერტოტოზე თამაში დაუსაბუთებლად, სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო ქართველებსაც აგვიკრძალეს. ის კი არა, რომელ თასზე რამდენი გუნდი გაგვყავს, იმასაც არ გვეუბნებიან.

## ტოტოლოტო
### საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 23**
4 ივნისი

| | |
|---|---|
| 1 | ბარი — სამპდორია |
| 2 | ლაციო — ბრეშია |
| 3 | იუვენტუსი — კალიარი |
| 4 | ფიორენტინა — მილანი |
| 5 | ჯენოა — ტორინო |
| 6 | ნაპოლი — პარმა |
| 7 | რეჯანა — ფოჯა |
| 8 | კრემონეზე — რომა |
| 9 | ინტერი — პადოვა |
| 10 | სარაგოსა — სევილია |
| 11 | რეალი — ლა კორუნია |

## ტოტოლოტო
### საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 24**
4 ივნისი

| | |
|---|---|
| 1 | პოლონეთი — სლოვაკეთი |
| 2 | რუმინეთი — ისრაელი |
| 3 | მაკედონია — ბელგია |
| 4 | ლიტვა — სლოვენია |
| 5 | ბელარუსი — ჰოლანდია |
| 6 | ბულგარეთი — გერმანია |
| 7 | უელსი — საქართველო |
| 8 | მოლდოვა — ალბანეთი |
| 9 | ფინეთი — საბერძნეთი |
| 10 | უკრაინა — ხორვატია |
| 11 | ირლანდია — ავსტრია |

მოგება (თითოეულზე):
100 000 000 კუპონი,
1 000 000 რუბლი
1 000 დოლარი
ვარიანტის ფასი: 50 000 კუპონი, 500 რუბლი, 1 დოლარი

# დიდი მადლობა ზონურ პრესინგს

**მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. არადა, ინგლისში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე წარმატებამოპოვებული კალათბურთელები შეიძლება საერთოდ ველარ დაგვბრუნებოდნენ. აქეთობას, ფრანკფურტი-თბილისის რეისის პილოტმა ვენის თავზე 300 კილომეტრზე შენიშნა „საელჭექო ღრუბელი“ და ავსტრიის დედაქალაქის აეროპორტს დაჯდომის ნებართვა სთხოვა. უარი მიიღეს. საფრენი ხაზები დაკავებულიაო და სხვა გზა არ იყო, ამ ღრუბელში შევიდნენ. იქ თვითმფრინავის სიჩქარე 900 კილომეტრ-საათიდან 420-მდე დაცემულა, ძრავები თითქმის ითიშებოდა, ლაინერი აქეთ-იქით ეხეთქებოდა, მაგრამ პილოტებს უმარჯვიათ, საჰაერო ხვრელი შეუნიშნავთ და თვითმფრინავში მსხდომნი სამშვიდობოს გაუყვანიათ.**

ერთი მოულოდნელობაც, ოღონდ სასიამოვნო, ჩვენებს ლონდონის აეროპორტში ჩასვლისასაც ელოდათ. სანამ ბარგს მიიღებდნენ, არც მეტი, არც ნაკლები... სახელგანთქმულ ჯადოსანს დევიდ კოპერფილდს შეჰყრიან. ჩვენებს მისი ვიდეოზე გადაღება მოუხერხებიათ, მოგვიანებით გაესაუბრნენ და ავტოგრაფებიც გამოართვეს. ეტყობა, კოპერფილდი კარგ ხასიათზე იყო, რადგან კალათბურთელებისთვის მაგიის წყალობით არაფერი უვნია, პირიქით, კეთილად დამშვიდობებია. ამის მერე ჩვენებმა ბირმინგემს მიაშურეს, სადაც მეორე დღეს პოლონეთთან თამაში ელოდათ.

### თავს ნუ მოვიკლავთ

პოლონეთის ნაკრებს ეტყობოდა, რომ მრავალ ტურნირში ნათამაშები, ორგანიზებული, დისციპლინიანი და გამოცდილი გუნდი იყო. მოთამაშეები 3-4 წელია ერთად არიან და ყველა რგოლიც კარგად აქვთ დაკომპლექტებული. ლიპარტელიანს ზუსტად ის ხუთეული დაუყენებია, „სარბიელს“ რომ უთხრა წასვლის წინ (ვაშაკიძე, ჩხეიძე, სანაძე, ნაცვლიშვილი, დერიუგინი) და გუნდისთვის უთქვამს: ამ თამაშზე ის გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, თუ წავაგებთ, უბედურება არ მოხდება, მოსაგები წინ გველის. ჩვენები პირველ ტაიმში ნერვიულობდნენ, თუმცა 4-5 წუთი თანაბარი თამაში მიდიოდა: ბურთი იშვიათად ვარდებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კალათში. მერე პოლონეთს უძალია, ერთხანს 30 ქულითაც დაწინაურებულა და სადავეები ბოლომდე ეპყრა. მოთამაშეებმა, რომ შეატყვეს, დღეს მომგებები არა ვართო, მომდევნო დღისთვის დაზოგეს ძალები.

### გაუმარჯოს დაცვას

დანიის ნაკრების თამაში ლიპარტელიანს წინა დღეს ენახა, მოთამაშეებს კი ფაქტიურად, არა. ამათი ოთხი კალათბურთელი ამერიკის სტუდენტური გუნდების სტაჟიორები იყვნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა 208 სანტიმეტრიანი ფრთა (!) ნილს ბერეგაარდი, რომელსაც სროლაც კარგად ემარჯვებოდა.

ლიპარტელიანმა ხუთეული გადაახალისა: ვაშაკიძე თორთლაძით შეცვალა, ჩხეიძე — ბაქრაძით, ხოლო ნაცვლიშვილი — სტეფანიათი. უთქმელადაც ცხადი იყო, რომ ჩვენებს დაცვიდან უნდა ეთამაშათ. ბერეგაარდის პრობლემა მალე გადაჭრა სტეფანიამ სამი პერსონალური მიალებინა, დერიუგინმა იქვე — მეოთხე და დანიელთა ლიდერმა დარჩენილი დროის უმეტესობა სკამზე გაატარა. მე-9 წუთამდე თამაში თანაბარი იყო, შემდეგ მწვრთნელებმა დაიწყეს შემადგენლობის სწრაფი ცვლა. დაცვაში არავინ მოდუნებულა, თუნდაც ერთი წამით. მოგვიანებით თბილისში დამუშავებულ ზონურ პრესინგსაც წარმატებით მიმართეს, ხოლო როცა დანიელებმაც იგივე გააკეთეს — ჩვენებმა აჯობეს. ტაიმი 8 ქულით მოვიგეთ და შესვენების შემდეგ მეტოქეს ეს სხვაობა აღარ შევამცირებინეთ. საბოლოო მიზნისკენ ნახევარი ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო.

### ამათი დამარცხება შეიძლება

ინგლისის ნაკრების წევრები რომ უნახავთ, ეს „დევები“ სად შეყარესო, უთქვამთ ჩვენებს. თანაც, 12 მოთამაშიდან 10 ზანგი იყო. კანის ფერი რას წყვიტავსო და, ქართველებს მოგებაზე გადაუწყვეტიათ თამაში. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა გუნდი ფიზიკურად ძლიერი და დალაგებული იყო.

ერთ ინგლისელს, სტივ ბაკნელს, 1989-90 წლის სეზონი NBA-ში, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზში“ გაუტარებია და თვით ჯარიმის და მეჯიქის გვერდით უთამაშია. მეორე — სპენსერ დანკლი „ინდიანა პეისერზს“ 1993 წლის დრაფტში ამოურჩევია, მაგრამ შემდეგ აღარ ათამაშა და დანკლიმაც ჯერ ისრაელს მიაშურა, ხოლო ბოლო სეზონი რუსეთში, სარატოვის „ავტოდოროჟნიკში“ გაატარა. ინგლისელებს წინა ორი მატჩი 40 და 45 ქულით მოეგოთ და ქართველებთანაც იგივე მოესურვებინათ. თავიდან 12 ქულით დაწინაურებულან, მაგრამ ჩვენებს უმარჯვიათ, დაცვაში საქმე აუწყვიათ და სხვაობა ექვს ქულამდე შეუმცირებიათ. ამ დროს, პოლონელ არბიტრს კშიშტოფ კორალოვსკის, ვინც თურმე ერთობ ტენდენციურად იმსაჯა, სკამიდან წამოდგომისთვის საქართველოს ნაკრები ტექნიკურად დაუჯარიმებია და მასპინძლებს საბოლოოდ მიუღიათ ფსიქოლოგიური უპირატესობა. თუმცაღა, ჩვენები ბოლომდე ეთამაშნენ მეტოქეს და მხოლოდ რვა ქულით დამარცხდნენ. თამაშის შემდეგ ქართველები მწვრთნელიან-მოთამაშიანად ერთ აზრზე დამდგარან: თბილისში ინგლისს ნორმალური მსაჯობისას აუცილებლად მოვუგებთო.

### თამაშის ნაცვლად მუშტები

უელსი აშკარა აუტსაიდერი იყო, მაგრამ ჩვენებს პრობლემა მაინც შეექმნათ. სათამაშო ელემენტებში მეტოქეს ერთი თავით ვაჯობეთ. მაგრამ უელსელებს, ვისაც არც კლასი ჰქონდათ და არც სიმაღლე, უხეშობა დაუწყიათ და მსაჯებისაგან ფარულად მუშტების ქნევა-დარტყმაც იკადრეს. ერთ მომენტში ნაცვლიშვილისთვის კისერში ხელი წაუჭერიათ. საქართველოს საუკეთესო კალათბურთელს ხურდის დაბრუნებამ მოუწია, მაგრამ მსაჯმა მაინცდამაინც ეს შენიშნა და ვატო ტექნიკურით დააჯარიმა. შემდეგ დადიანი გარღვევაზე გავიდა და ვიღაც უელსელი მთელი ტანით წავიდა დასაფარებლად, ისე, რომ მოთამაშე კინაღამ დაგვიმტვრია... მაგრამ შეჯიბრება კალათბურთში იყო და არ კეტჩში, ჩვენებს რიგიანად გაუპამპულებიათ მეტოქე და ლუქსემბურგთან გადამწყვეტი მატჩისთვის მოსამზადებლად წასულან.

### სუვოროვი ბრძენი იყო

ნამდვილად ასეა, რადგან მას ეკუთვნის გამოთქმა „ძნელია — სწავლისას, ადვილია — ბრძოლაში“. საუბარია ზონურ პრესინგზე, ჩვენი კალათბურთელები თბილისში ქანცის გაწყვეტამდე რომ ამუშავებდნენ. ისე, აქვე იმასაც ამბობდნენ, თავს რად ვიკლავთ№ ამას ინგლისში ვინ გაგვაკეთებინებსო. გააკეთებინეს და მერე როგორ, ამ ელემენტმა გაიყვანა ქართველები მომდევნო ეტაპზე.

მატჩი ლონდონის დროით 12 საათზე დაიწყო. ჩვენებმა მანამდე ყველა შეხვედრა საღამოს გამართეს და ახალ განრიგთან შეგუება გაუძნელდათ. ფსიქოლოგიურადაც მძიმე სიტუაცია იყო: მოიგებ — გახვალ, წააგებ — ორი წლით დაემშვიდობე ყველაფერს. ალბათ ამის ბრალი იყო, შეხვედრა უაღრესად ნერვიულად რომ დაიწყო. საწყის ათ წუთში მოთამაშეები ერთმანეთს ედავებოდნენ: ვინ მართალია, ვინ — არა. ამასობაში კი ლუქსემბურგელებს თამაშისთვის ალღო აუღიათ და 10 ქულითაც დაწინაურდნენ.

აქ ლიპარტელიანმა ზონური პრესინგი მოითხოვა. ტაიმის ბოლოს უკვე დამტკიცდა, რომ ვარჯიშებზე ტყუილად არ გაუძრო სიქა მოთამაშეებს ამის დახვეწით. ჩამორჩენა ოთხქულიან უპირატესობაში გადაიზარდა. მეორე ნახევარში მოთამაშეებს ყოველნაირი კომპლექსი მოეხსნათ, გაინავარდეს და ერთხანს 22 ქულითაც იყვნენ წინ. ლუქსემბურგელებმა ხუთი ქულის „ამოქაჩვა“ კი შეძლეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: საქართველოს ნაკრებმა დაიკავა, მესამე ადგილი და ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა! პირველ ადგილზე კი პოლონეთი გავიდა, რომელმაც ტურნირის ბოლო მატჩში მეორე პრიზიორ ინგლისს 20 ქულით მოუგო.

მერაბ რატიშვილი



საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „სტუ-მართვე“

# გასეირნება სასარგებლოა

საქართველოს ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის გამარჯვებული — „სტუ-მართვე“ ჯადმდე, მეხუთე ტურში გაირკვა. რაკი ბოლო, მეექვსე წრეს ფორმალური ხასიათიღა ჰქონდა, თამაშებისთვის ინტერესის შესამატებლად ფედერაციამ პარალელურად თასის გათამაშებაც მოაწყო, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ეს ტური ფოთში ჩატარდა. ფედერაციის ხელმძღვანელთა და თავად ფოთელთა ეს საერთო თაოსნობა მეტად საჭირო ყოფილა, რადგან თამაშებმა ადგილობრივ გულშემატკივართა, პრესის და ტელევიზიის დიდი დაინტერესება გამოიწვია. ქალაქის სპორტსკოლის დარბაზში ყოველდღე მრავლად იყვნენ მაყურებლები, რომლებიც თავგამოდებით ქომაგობდნენ თავისიანებს. ერთი სიტყვით, ფოთში გასვლამ გაამართლა და იქნებ, ხელი შეუწყოს კიდეც ქალაქში ამ სახეობის განვითარებას. თანაც, ფოთის „კოლხეთს“ აგვისტოს ბოლოს ევროპის ფედერაციის თასზე მოუწევს თამაში. ტურის ცენტრალური მატჩი „სტუ-მართვე“ — „თბილისი“. ბოლო დღეს შედგა. გამარჯვებული თასის მფლობელი ხდებოდა. ჩვენს უცვლელ ჩემპიონს მანამდე ჩატარებული 22 თამაშში ერთი ქულაც კი არ დაეკარგა და ამ შეხვედრაშიც მოგებისთვის იბრძოდა, მაგრამ არც „თბილისი“ იყო ხელებჩამოშვებული — ფიზკულტურის და სპორტის აკადემიის გუნდმა, რომელსაც ჯურამ ძაგანია და ალექსანდრე ხუციშვილი წვრთნიან, ტაიმი ორი ბურთით მოიგო — 14:12 დაირა ნარსიასა (გაიტანა 10 გოლი) და ნინო ბუშურიშვილის (8) აქტიური თამაშის წყალობით შესვენების შემდეგაც კარგა ხანს იყვნენ წინ. მაგრამ მატჩის მიწურულს ჩემპიონებმა უფრო იაქტიურეს და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა — 26:26. ტური გუნდებმა 5-5 ქულით კი დაამთავრეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით თასს „სტუ-მართვე“ დაეუფლა. მესამე ადგილზე — სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან პრინციპული შეხვედრის მოგებით — 27:22 მასპინძლები გავიდნენ. აღსანიშნავია „კოლხეთის“ მოთამაშე — მწვრთნელის, დაუღლელი დარეჯან გეფერიძის ფანატიკური სიყვარული და ერთგულება ხელბურთისადმი. ასაკის მიუხედავად, დღესაც მშვენივრად თამაშობს — თავისიანების შეტევებსაც უნარიანად უძღვება და გოლებიც ბლომად გააქვს (სამ თამაშში — 21 ბურთი). ვეტერანს გაცილებით ახალგაზრდა თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი. ჩინებულად იცავს კარს მედეა ფიფია, მარცხენა ფრთა ირმა შონია კი 26 გოლით ტურის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ბოლოს, ჩემპიონთა „ანსამბლის“ შესახებ: „მართვემ“ ხუთი წლის წინ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგო, მაშინდელი შემადგენლობიდან გუნდში ოთხნიღა (ნინო წივწივაძე, მადონა ორმოცაძე, ელენე არაბული და ეკა ჟიჟიაშვილი) დარჩნენ და სწორედ ესენია ჩემპიონის მთავარი ძალა. დაბრუნდნენ მეკარე ინგა იუხანოვა და სწრაფი „კუთხე“ ეკა წივწივაძე, რომელთაც რამდენიმე წელი არსად უთამაშიათ. მათ გარდა „სტუ-მართვეში“ თამაშობენ მეკარე თეა სიხარულიძე , ანა მძინარიშვილი, დიანა მძელური, ირინა ახალშენიშვილი, მარინა თათანაშვილი, მარიამ გაჩეჩილაძე, ირმა კუპრაშვილი. გუნდის მწვრთნელია ზაალ სიხარულიძე.

გია ახალაძე

25 მაისი. „თბილისი“ — თსუ 34:24, „სტუ — მართვე“ — „კოლხეთი“ (ფოთი) 35:30
26 მაისი. „თბილისი“ — „კოლხეთი“ 33:23, „სტუ-მართვე“ — თსუ 42:20
27 მაისი. „სტუ-მართვე“ — „თბილისი“ — 26:26, „კოლხეთი“ — თსუ 27:22

საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-მართვე | 23 | 22 | 1 | 0 | 45 |
| თბილისი | 23 | 17 | 1 | 5 | 35 |
| კოლხეთი | 23 | 8 | 2 | 13 | 18 |
| თსუ | 23 | 6 | 2 | 15 | 14 |
| მართვე-2 | 20 | 0 | 0 | 20 | 0 |

ძალოსნობა

# აქაური წესი ასეთია

დღეს ისეა ჩვენი საქმე, „საუფროსოს“ ვინ ჩივის, ახალგაზრდული მსოფლიო რეკორდიც სანატრელი გაგვხდომია. ჰოდა, ბუნებრივიც იყო გიორგი ასანიძესთან გასაუბრების სურვილი — ახლახან ვარშავაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საერთო ჩათვლაში VII ადგილი კი დაიკავა, მაგრამ აქტაცში 500 გრამით დაამძიმა მანამდელი, 160-კილოგრამიანი მსოფლიო რეკორდი ახალგაზრდებისთვის.

**— შენი სპორტული დოსიე გვარწმუნებს, რომ 83 კილოგრამ წონაში ყველა ახალგაზრდული მსოფლიო რეკორდი შენია...**

— მე ცალკეულ მოძრაობებში ვარ რეკორდსმენი, ორჭიდის ჯამში კი რუსი ალექსანდრე კანეტკინია: ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესებით, 500 გრამით დამძიმებული შტანგა სარეკორდოდ კი ჩაითვლება, მაგრამ ორჭიდის ჯამში არ შედის. ორჭიდში მსოფლიო რეკორდი ფიქსირდება მაშინ, როდესაც ცალკეულ მოძრაობებში ნაჩვენებ შედეგთა ჯამი ორნახევარი კილოგრამით მეტია უწინდელზე. მე სხვადასხვა შეჯიბრებებზე 500-500 გრამით გავაუმჯობესე რეკორდები, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა რომ „სრული“ რეკორდსმენი გავმხდარიყავი.

**— ვარშავაში გამოსვლით კმაყოფილი ხარ თუ თვლი, რომ მეტიც შეგეძლო?**

— უკეთ გამოსვლაც შემეძლო, რომ არა თებერვლის ბოლოს საბერძნეთში შეკრებაზე მიღებული წელის ტრავმა. მაშინ ხელიც კი ჩავიქნიე ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ დროულმა მკურნალობამ და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ გერმანიაში მოწყობილმა ორკვირიანმა შეკრებამ გამომაკეთა.

**— საბერძნეთში შეკრება ახსენე. ნუთუ ასე ასე ულხინს ძალოსნობის ფედერაციას?**

— საბერძნეთში კახი კახიაშვილის მიწვევით გავემგზავრეთ. მშვენიერ პირობებში ვცხოვრობდით და ვვარჯიშობდით. ყველა ჩვენგანი უზომო მადლიერია კახიაშვილისა. კახი ძალიან პოპულარული კაცია საბერძნეთში. მან სხვა ბევრი სიკეთეც გაგვიკეთა, პირადად მე მისგან ძალიან დავალებულიც ვარ — საბერძნეთში ჩემი მკურნალობის ხარჯები კახიმ გაიღო, დაგვეხმარა მატერიალურადაც. ამას იმათ გასაგონადაც ვამბობ, ვინც გაიძახის, რადგან საქართველოდან წავიდა, მოღალატეაო.

**— შენც ხომ არ აპირებ წასვლას?**

— არა, უფრო სწორად, ჯერ არა, რადგან, ვთვლი, რომ სერიოზული წარმატებებისთვის ჯერ არ მიმიღწევია. სურვილი უფრო მეტისა მაქვს და იმის იმედიც მაქვს, რომ ბატონი ვანო გრიქუროვი მავარჯიშებს. თუ დღეს ვინმეს საქართველოში შტანგის ხეირიანად აწევა შეუძლია, უპირველესად მისი დამსახურებაა, მაგრამ, ხომ იცით, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და შეიძლება ბატონმა ვანომაც მალე დატოვოს საქართველო, რაც უდიდესი დანაკარგი იქნება ჩვენი ძალოსნობისთვის.

**— უახლოეს ხანში რას აპირებ?**

— 8-16 ივნისს ისრაელში, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მივემგზავრები, ერთი თვის თავზე კი პოლონეთში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობაა. ვფიქრობ, მაღალი ადგილებისთვის შემიძლია ბრძოლა.

ზვიად შათირიშვილი



**გიორგი ასანიძე**

დაიბადა 1975 წლის 30 აგვისტოს საჩხერეში. ვარჯიში დაიწყო 1986 წელს გოგი თოდაძესთან. 1992 წლიდან ვარჯიშობს ვანო გრიქუროვთან. წონა 83 კგ. საქართველოს სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი.

1993 წლის მსოფლიო თასის ეტაპის მეორე პრიზიორი, 1994 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიო რეკორდსმენი ახალგაზრდებს შორის აკვრასა — 190,5 კგ (1994. მსოფლიო ჩემპიონატი) და აქტაცში — 160,5 (1995. ევროპის ჩემპიონატი).

ძიუდო

# ოქრო — ჩვენ, ვერცხლი — თქვენაო...

ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის მედალს დღეს როგორღა ვიცოტავებთ, ორი ვერცხლი ნამდვილად არაა პატარა საქმე, მაგრამ თუ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენი დელეგაციის წევრთა სიმრავლესა და ხარისხიანობასაც გავითვალისწინებთ — მათში ხომ ოლიმპიური ჩემპიონიც ერია — ბირმინგემში მოპოვებულმა ამ ორმა ჯილდომ არა მგონია, ცაში ქუდები გვასროლინოს. ჩვენც სწორედ ამის თაობაზე დავეკითხეთ ინგლისიდან დაბრუნებულ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს.

— ორი ოქროს მედალი ხელიდან წაგვგლიჯეს. ივერი ჯიქურაული ჰოლანდიელს შეხვდა ფინალში. მსაჯთა კოლეგიის ჰოლანდიელმა თავმჯდომარემ, რაკი თავისი თვისტომი ფინალში დაიგულა, „არ დაიზარა“, გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ თავად მივიდა ტატამთან და იქ გადასასვლელად გამზადებული მსაჯები თავისი ხალხით შეცვალა. ამათაც შეფს ერთგულება დაუმტკიცეს და ივერის ბრწყინვალე ჭიდაობა მთელს ჩემპიონატშიც წყალს გაატანეს. გიორგი ვაზაგაშვილმაც მშვენივრად იასპარეზა და ისიც გავიდა ფინალში. მეტოქედ ინგლისელი შეხვდა, მსაჯებმაც ბრიტანელ მასპინძლებს არ აწყენინეს: აშკარად აქტიური ვაზაგაშვილის მიერ მეტოქის ბურთაობას ყურადღებას არ აქცევდნენ, ინგლისელის ილეთი, სირენამდე 30 წამით ადრე, კი შენიშნეს და შეაფასეს.

ორი წელია, დავით ხახალეიშვილს დიდ სარბიელზე არ უჭიდავია. ამ ხნის მანძილზე მან წონაშიც მოიმატა და უვარჯიშებლობაც დაეტყო. ბირმინგემში უხეირო გამოსვლაც ამის ლოგიკური შედეგი იყო. ფორმის აღსადგენად მას ორი-სამი თვის ინტენსიური ვარჯიში სჭირდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ტოკიოში, წლევანდელ სექტემბერს, ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება. ატლანტაში ასპარეზობის უფლებას პირველ-მერვე ადგილებზე გასულები დაიბევებენ. დავითი უკვე შეუდგა ვარჯიშს და ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ძალას არ დაიშურებს.

ალექსი დავითაშვილს გამოცდილება აკლია. მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტებს — პოლონელ კუბაცკისა და რუს კოსოროტოვს უგებდა, მაგრამ გამოუცდელობით ბოლო წამებზე ტაქტიკურად სწორად ვერ წარმართა ბრძოლა და დამარცხდა.

მევლუდ ლობჟანიძეს გამოუცდელობის კვალობაზე ურიგოდ არ უჭიდავია.

სოსო ლიპარტელიანს გაუგებრობის გამო (დოპინგის ტესტის ჩაბარება ვერ მოახერხა) ორი წელი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და ამ ხნის შესვენების შემდეგ პირველად იასპარეზა. ცუდად არ უჭიდავია, შარშანდელ ევროპის ჩემპიონთან, ავსტრიელ პატრიკ რუცერთან დათმო.

71 კილოგრამში კრიზისი გვაქვს. ამ წონაში წავიყვანეთ სამბისტი მამუკა კურდღელაშვილი, რომელიც წელს ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მსოფლიო პირველობამდე სამი ტურნირი გვაქვს: 11-13 ივნისს ისრაელში, 1-2 ივლისს თურქეთში და ივლისის ბოლოს ბელარუსში.

ერეკლე კიკილაშვილი

# ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, | a - სტუმრად | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. 34-ე ტური. 4 ივნისი** | | | | | | | |
| BARI - | SAMPDORIA | 3,2 | 2,8 | 1,6 | 1-1 | -/- | -/- |
| a 1-0 Milan | h 2-2 Inter | | | | | | |
| h 2-2 Roma | a 0-1 Lazio | | | | | | |
| CREMONESE - | ROMA | 3,4 | 2,7 | 1,6 | 1-1 | 1-1/2-1 | -/- |
| a 2-1Brescia | h 3-0 Juventus | | | | | | |
| h 3-0 Padova | a 2-2 Bari | | | | | | |
| FIORENTINA - | MILAN | 2,2 | 2,6 | 2,2 | 0-2 | -/- | 3-7/0-2 |
| a 0-3 Parma | h 0-1 Bari | | | | | | |
| h 6-3 Torino | a 0-1 Napoli | | | | | | |
| REGGIANA - | FOGGIA | 1,6 | 2,8 | 3,2 | 0-1 | 0-0/0-1 | -/- |
| a 0-4 Torino | h 0-1 Lazio | | | | | | |
| h 2-0 Brescia | a 0-3 Genoa | | | | | | |
| GENOA - | TORINO | 1,1 | 3,6 | 6,0 | 0-0 | 1-1/0-2 | 2-1/1-1 |
| a 1-1 Padova | h 4-0 Reggiana | | | | | | |
| h 3-0 Foggia | h 3-6 Fiorentina | | | | | | |
| INTER - | PADOVA | 1,3 | 2,6 | 6,5 | 0-1 | -/- | -/- |
| a 2-2 Sampdoria | h 1-1 Genoa | | | | | | |
| h 1-2 Cagliari | a 0-3 Cremonese | | | | | | |
| JUVENTUS - | CAGLIARI | 1,3 | 3,4 | 4,2 | 0-3 | 1-1/1-0 | 2-1/0-0 |
| a 0-3 Roma | h 0-1Napoli | | | | | | |
| h 4-0 Parma | a 2-1 Inter | | | | | | |
| LAZIO - | BRESCIA | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-0 | -/- | 2-0/0-2 |
| a 1-0 Foggia | h 1-2 Cremonese | | | | | | |
| h 1-0 Sampdoria | a 0-2 Reggiana | | | | | | |
| NAPOLI - | RARMA | 1,2 | 3,8 | 4,7 | 0-2 | 2-0/3-1 | 1-1/1-1 |
| a 1-0 Cagliari | h 3-0 Fiorentina | | | | | | |
| h 1-0 Milan | a 0-4 Juventus | | | | | | |
| **ესპანეთი. 36-ე ტური. 3-4 ივნისი** | | | | | | | |
| ZARAGOZA - | SEVILLA | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-2 | 1-2/1-0 | 2-1/0-1 |
| h 5-3 Compostela | h 2-3 Celta | | | | | | |
| a 0-2 Espanol | a 4-0 Compostela | | | | | | |
| COMPOSTELA - | ATLETICO | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | -/- | -/- |
| a 3-5 Zaragoza | h 3-1 Espanol | | | | | | |
| h 0-4 Sevilla | a 0-0 Racing | | | | | | |
| ESPANOL - | VALENCIA | 1,3 | 3,0 | 5,0 | 0-0 | -/- | 1-1/0-2 |
| a 1-3 Atletico | h 1-1 Racing | | | | | | |
| h 2-0 Zaragoza | a 0-1 Sporting | | | | | | |
| RACING - | TENERIFE | 1,4 | 2,8 | 4,4 | 0-3 | 1-0/0-1 | -/- |
| a 1-1 Valencia | h 3-0 Sporting | | | | | | |
| h 0-0 Atletico | a 2-3 Athletic | | | | | | |
| SPORTING - | R. SOCIEDAD | 1,4 | 2,8 | 4,4 | 2-2 | 3-2/1-0 | 2-4/2-1 |
| a 0-3 Tenerife | h 5-0 Athletic | | | | | | |
| h 1-0 Valencia | a 1-0 Albacete | | | | | | |
| ATHLETIC - | OVIEDO | 1,4 | 2,8 | 4,4 | 1-1 | 1-1/0-3 | 1-0/0-1 |
| a 0-5 Sociedad | h 1-3 Albacete | | | | | | |
| h 3-2 Tenerife | a 2-0 Logrones | | | | | | |
| ALBACETE - | VALLADOLID | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-1 | 1-1/0-1 | -/- |
| a 3-1 Oviedo | h 2-1 Logrones | | | | | | |
| h 0-1 Sociedad | a 0-1 Real | | | | | | |
| LOGRONES - | BARCELONA | 6,0 | 3,6 | 1,1 | 0-3 | 0-0/2-2 | 1-2/0-3 |
| a 1-2 Valladolid | h 1-0 Real | | | | | | |
| h 0-2 Oviedo | a 1-1 Betis | | | | | | |
| BETIS - | CELTA | 1,3 | 2,7 | 6,0 | 2-0 | -/- | -/- |
| a 0-2 Deportivo | a 3-2 Sevilla | | | | | | |
| h 1-1 Barcelona | h 0-2 Deportivo | | | | | | |
| REAL - | DEPORTIVO | 1,6 | 2,5 | 3,8 | 0-0 | 2-0/0-4 | 2-1/2-3 |
| a 0-1 Barcelona | h 2-0 Betis | | | | | | |
| h 1-0 Valladolid | a 2-0 Celta | | | | | | |

## ევროპის ჩემპიონატი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 03.06 | პორტუგალია—ლატვია (0:4) | 1,9 | 4,0 | 1,9 |
| | ლიხტენშტეინი—ირლანდია (4:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| 07.06 | პოლონეთი—სლოვაკეთი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| | რუმინეთი—ისრაელი | 1,2 | 2,9 | 7,0 |
| | მაკედონია—ბელგია | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| | დანია—კვიპროსი (0:3) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| | ესპანეთი—სომხეთი (0:3) | 1,8 | 4,0 | 2,0 |
| | ლიტვა—სლოვენია | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | ბელარუსი—პოლანდია (2:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| | ლუქსემბურგი—ჩეხეთი (3:0) | 1,8 | 4,0 | 2,0 |
| | ნორვეგია—მალტა (0:4) | 1,8 | 4,0 | 2,0 |
| | ჩრდ. ირლანდია—ლატვია | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ბულგარეთი—გერმანია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| | მოლდოვა—ალბანეთი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ფარერები—შოტლანდია (3:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| | სან მარინო—რუსეთი (3:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| 11.06 | ისლანდია—უნგრეთი | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| | ესტონეთი—სლოვენია | 6,5 | 3,0 | 1,2 |
| | უკრაინა—ხორვატია | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| | ირლანდია—ავსტრია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| | ჩინეთი—საბერძნეთი | 4,0 | 2,7 | 1,5 |

უელსი — საქართველოს თამაშზე ფსონები მიიღება მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე კოეფიციენტით 4,0

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 3-1 | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | [illegible] | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 4-2 | [illegible] | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 2-1 | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 6-3 | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 3-0 | ■ | 2-1 | 1-1 | [illegible] | [illegible] | 2-1 | 0-0 | 3-1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | 2-1 | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | 2-2 | 0-0 | 5-0 | [illegible] | [illegible] | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | 0-1 | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | [illegible] | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-3 | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | 3-0 | 0-0 | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | 1-0 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | 2-0 | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | 3-0 |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | 1-0 | 4-0 | 4-1 | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 0-3 | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | 2-0 | | 0-0 | 2-2 | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 3-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | 0-4 | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | 2-0 | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | 0-2 | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | | 2-0 | 4-2 | 3-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-3 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | 5-3 | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | 5-0 | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | 3-0 | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | | 2-1 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | 4-0 | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 6-1 |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | 1-1 | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | [illegible] |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | 4-1 | ■ | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | 0-4 | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | 4-1 | ■ | 0-0 | | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | 5-3 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | 2-0 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | [illegible] |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | 4-2 | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | | 4-1 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | 2-1 | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

მძლეოსნობა

# დოპინგები და პრიზები

**1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატს მეხიკოს ნაცვლად ათენი რომ უმასპინძლებს, „სარბიელის" მკითხველმა უკვე იცის. 21 მაისს ასე გადაწყვიტა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) გეტებორგში, სადაც წელსვე, აგვისტოში გაიმართება ამავე რანგის შეჯიბრება. დღეს მძლეოსნობის სხვა ახალ ამბებსაც გაგაცნობთ.**

ამავე სხდომამ ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია გაუუქმა გამოჩენილ კენიელ სტაიერსა და კროსმენ ჯონ ნგუგის, ვინაც 1993 წლის 13 თებერვალს იუარა დოპინგსინჯის მიცემა. იმ დღეს ნგუგის, ვინაც კენიის არმიის სერჟანტია, წერა-კითხვა არ იცის, ინგლისურად ვერა ლაპარაკობს და სოფლად ცხოვრობს, შინ სწვევიან იააფის წარგზავნილები, რომელთაც კენიელი მძლეოსნობის მამები თან არა ხლებიან, და ჟესტებით გაუგებინებიათ მძლეოსნისთვის, მოგვიშარდეო, რაც კენიელს შორს დაუჭერია — ჯარისკაცი ვარ და ჯერ ოფიცრობას უნდა დავეკითხოო. ამ გაუგებრობის გამო იააფ-მა ნგუგი უმკაცრესად დასაჯა. აგორდა პროტესტის, აპელაციისა და შეწყალების მოთხოვნის ტალღა. ამ ორი თვის წინ 24 კენიელმა მძლეოსანმა წერილიც მისწერა იააფ-ის თავკაც ნებიოლოს, ნგუგის ისედაც 27 თვე გაუცდა და ცოდოაო. საკითხის მრავალგზის განხილვის შემდეგ კენიელი არ გაუმართლებიათ — ოდენ შეიწყალეს. ეს დეტალი საგანგებოდ აღნიშნა იააფ-ის პრეს-მდივანმა ქრისტოფერ ვინერმა და ისიც დაამატა, დოპინგ-კონტროლის რაგინდარა წესი კიდევ რომ დაარღვიოს, ნგუგის სამუდამო დისკვალიფიკაცია არ ასცდებაო.

კენიელი მძლეოსნები კი კვლავაც გაფიცული არიან და მსოფლიოს ჩემპიონატსა და აფრიკის თამაშებში ასპარეზობას უარობენ, თუკი ამ ქვეყნის მძლეოსნობის მამები ნაკრების მწვრთნელად არ აღადგენენ მაიკ კოსგაის. კონფლიქტის მოგვარება უკისრია აფრიკის მძლეოსნობის კონფედერაციის უფროს ვიცე-პრეზიდენტ სემ ნელსონს: გულგრილად ვერ ვუცქერ მოვლენებს, აფრიკული მძლეოსნობის ვნება რომ შეუძლიაო.

დოპინგის გამოვე იააფ-ს ურჩევია ეროვნული ფედერაციებისთვის, რომ პირველი დარღვევისათვის ცდომილებს ოთხწლიანის ნაცვლად ორწლიანი დისკვალიფიკაცია დაუნიშნოს, თუმცაკი ვისაც საჭიროდ მიგაჩნიათ, კვლავ ძველებურადვე შეგეძლებათ სასჯელის გამკაცრებაო. დასრულებულა ბრიტანელი ბადროს მტყორცნელის პიტერ გორდონის საგა, ვისაც 1993 წლის ივნისში დოპინგ-სინჯი ვერ ჩაუბარებია სათესლის კიბოს გამო. ათლეტი მერე განკურნებულა, ბრიტანეთის მძლეოსნობის მამებს ჰუმანური მოსაზრებებით კიდეც შეუწყალებიათ, იააფ-ს კი ახლაღა დაუმტკიცებია ბრიტანელთა განჩინება.

ბრიტანელებს გაუუქმებიათ **115** წლოვანი აკრძალვა და საშინაო შეჯიბრებებზე ფსონების მიღების ნება დაურთავთ. მძლეოსნური ტოტალიზატორები მსოფლიოში აქამდეც იშვიათი ხილი ყოფილა: დანაძლავება და ისიც საკმაო შეზღუდვებით ნებადართული ყოფილა მხოლოდ შოტლანდიასა და ამერიკის სამორინო ქალაქ რინოში.

პრეზიდენტ ნებიოლოს „გაძეტა დელლო სპორტისათვის" უთქვამს, 1997 წლის მსოფლიო პირველობაზე 7 მილიონ დოლარს დავარიგებთ ფულად პრიზებადო. შარშანდელი და წლევანდელი ბოიკოტების შემდეგ იააფ-ი მიმხვდარა, რომ უმჯობესი ყოფილა ფული აძლიოს მძლეოსნებს, ვინემ ჩემპიონატის მომწყობ ქალაქს დაუტოვოს.

ორგზის გაუმჯობესდა ახალი სახეობის — ქალთა ჰოკით ხტომის მსოფლიო რეკორდი. **18** მაისს მავანი ჩინელი **408** სანტიმეტრზე ახტა ეროვნულ პირველობაზე და ძველ მიღწევას ორი სანტიმეტრით გადაამეტა, **20** მაისს კი ჩეხმა დანიელა ბარტოვამ ლუბლიანაში (სლოვენია) **410** სანტიმეტრი დაძლია.

21 მაისს, ნიუ-იორკში სეზონის ორი საუკეთესო შედეგი აღინუსხა: 100 მეტრზე ვაჟთა გარბენი მოიგო კანადელმა ბრუნი სურინმა (9,92), 200 მეტრზე ქალთა გარბენი — ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გვენ ტორენსმა (22,04).

ჩინეთის ეროვნულ პირველობაზე თავი შეირცხვინეს „მას რაზმად" ცნობილმა მორბენალმა დიაცებმა. მწვრთნელთან დაუბრებულებს და, ეტყობა, დოპინგის ხმარების გამო მხილებით შეშინებულებს ერთობ ცუდი შედეგები აღმოაჩნდათ: ვან ჯუნ შა **5000** მეტრზე გამარჯვებულს ერთი წუთით ჩამორჩა და ფინალშიც ძლივს მოხვდა, ლუ დუნი კი **800** მეტრზე **XVI** ადგილზე დარჩა.

სამხრეთ აფრიკის პირველი ზანგი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, ეტყობა, სპორტის დიდი ტრფიალია. რაგბის მსოფლიო თასის გახსნისწინა უქმეებზე თავის პოლიტიკურ მოწინაამდეგეთა ბუდეში — კვაზულუ-ნატალში ჩაბრძანდა და ე.წ. ამხანაგთა გარბენის თეთრკანიანი გამარჯვებული პირადად დააჯილდოვა. ეს გარბენი 90-კილომეტრიანია (სტარტი პიტერმარიცბურგში აქვს, ფინიში — დურბანში), ხუთ საათზე მეტხანს გრძელდება, გამარჯვებულს კი 12 500 ამერიკული დოლარი ერგება.

რეზო ნემსაძე

რვაათასიანები

# ჰიმალაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი



მორის ერცოგი მწვერვალზე

## ანაპურნა 8091



ლუი ლაშენალი (შუაში) შერპებთან ერთად

მას მერე, რაც ფრანგმა მთამსვლელებმა დიდი ძებნითა და თავგადასავლებით ანაპურნასკენ მიმავალ გზას მიაგნეს და მწვერვალიც დაინახეს, მათ თვალწინ უშველებელი მასივი გადაიშალა.

მზის სხივებში ალაპლაპებული მრავალთავა ანაპურნა ძალზე შთამბეჭდავად აყუდებულიყო. მათ ანაპურნას მთავარი მწვერვალი 8078 მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებდათ და უხმობდათ, თუმცა მაშინ არავინ იცოდა, რომ იგი სინამდვილეში 13 მეტრით მაღალი იყო.

იქვე 8052 მეტრზე აზიდულიყო ანაპურნას საშუალო მწვერვალიცა და აღმოსავლეთის თავიც — ისიც რვაათასიანი, 8029 მეტრი სიმაღლისა. მის გვერდით იყო წინა მწვერვალიც (7485 მ).

სამხრეთის განშტოების აღმოსავლეთ გაგრძელებაზე არის კიდევ ამავე სახელწოდების სამი მწვერვალი: ანაპურნა II (7937 მ.), ანაპურნა III (7577) და ანაპურნა IV (7524მ), მაგრამ ისინი ანაპურნას მასივში არ შედიან. მათ თავიანთი სახელწოდება გეოგრაფებისა და მთამსვლელებისაგან მხოლოდ ანაპურნას მეზობლობის გამო მიიღეს.

ადგილობრივი მკვიდრნი ამ მასივს მრავალი სახელით მოიხსენიებენ. ერთ-ერთი მათგანია კალი, რაც შავს, საშინელს ნიშნავს — მცირეთოვლიანობისას სამხრეთის ფერდობები თოვლისგან თავისუფლდება და მწვერვალი შავად გამოიყურება.

ამ მასივს დურგასაც უწოდებენ, რაც შეუვალს, მიუღწეველს ნიშნავს.

მწვერვალს აქვს კიდევ ერთი სახელი — პარვატი — მთების ქალიშვილი.

მაგრამ ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახელი ანაპურნაა. სანსკრიტიდან თარგმანით გამოდის (ანა — საკვები, პურნა-მომცემი, აღმვსები), რომ იგი საკვების მომცემი ღმერთქალი, „მოსავლის ქალღმერთი", „მოსავლის მფარველი ქალღმერთი" ყოფილა. მუსონების პერიოდში ქარს სინოტივე ჰიმალაისკენ მიაქვს. იქაურობა ღრუბლებით იფარება, მერე იწყება ხანგრძლივი შხაპუნა წვიმა, რომელსაც დასასრული არ უჩანს. მერე, როცა გამოიდარებს, ახალი თოვლისგან გადათეთრებული ანაპურნა თვალისმომჭრელ მზის სხივებს სარკესავით ირეკლავს და თითქოს ადგილობრივ მკვიდრთ შორიდან ჩამოსძახის, აი, მე მოგიტანეთ წვიმა და მასთან ერთად მოსავალიო. ფრანგები კი აღმოჩნდნენ პირველნი, ვინც "მოსავლის ქალღმერთი" ასე ახლოდან იხილეს. მანამდე კი არა, მანამდე შორიდან გადაღებული ანაპურნას ფოტოსურათიც არავის ენახა. არსებობდა მხოლოდ 1949 წელს შვეიცარიელი პროფესორის არნოლდ ჰეიმის მიერ თვითმფრინავიდან გადაღებული ფოტოები და დოკუმენტური ფილმი.

საქმე ის იყო, რომ 1950 წლამდე ნეპალი უცხოელთათვის დახურული სამეფო გახლდათ და ამიტომაც აქედან ჰიმალაის მწვერვალის დალაშქვრა არც არავის უცდია. 1950 წელს ქვეყნის საზღვრები გაიხსნა და მთამსვლელებმაც აქეთ გადმოინაცვლეს. მათ შორის ფრანგები პირველნი აღმოჩნდნენ.

მათ 4400 მეტრის სიმაღლეზე, ჩრდილო-დასავლეთის თხემის ძირში, მორენაზე დროებითი ძირითადი ბანკი დასცეს. მერე 5200 მეტრზე ზვავისაგან უხიფათო ადგილი მოძებნეს და იქ „გადასახლდნენ". ამასობაში ლუი ლაშენალმა და გასტონ რებიუფამ მწვერვალზე მიმავალი გზაც აღმოაჩინეს. მანამდე ერთნი საბაზო ბანკის მოწყობით იყვნენ დაკავებულნი, მეორენი მწვერვალზე ასასვლელ გზებს ზვერავდნენ. მორის ერცოგი და ლიონელ ტერაი დიდი ძალისხმევით 6000 მეტრამდე ავიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამაოდ გარჯილან — თხემი, რომელზეც ისინი ადიოდნენ, ძირითადი ქედიდან გამოყოფილი ყოფილა.

ახლა ყველანი მოუთმენლად ელოდნენ დაზვერვაზე მყოფი მეორე წყვილის, ლუი ლაშენალისა და გასტონ რებიუფას დაბრუნებას. როდესაც ისინი ჩამოვიდნენ, ბანაკი გამხიარულდა — რებიუფასა და ლაშენალს მარშრუტი შეუგულებიათ. ეს მარშრუტი ანაპურნას ჩრდილო „ცირკიდან" იწყებოდა და ჩრდილოეთისავე ფერდობზე გადიოდა. ამ გზაზე ზოგიერთი მონაკვეთი ტექნიკურად რთული და ზვავსაშიში ჩანდა, მაგრამ მასზე ასვლა შესაძლებელი იყო.

ამის მერე მთამსვლელებმა მწვერვალისკენ გზის დამუშავება და საშუალედო ბანაკების მოწყობა სწრაფად და შეუპოვრად დაიწყეს. 23 მაისს უკვე მეორე ბანაკი (5900 მ) მზად იყო. ამის მერე გზა საკმაოდ ციცაბო და დაჩეხილ მყინვარზე გადიოდა, რამაც ასვლის ტემპი შეანელა. ისინი აქედან მესამე ბანაკამდე ერთთავად ყინულზე საფეხურების ჭრაში, პალოების ჩარჭობასა და თოკების გაბმაში იყვნენ. აქ ყინულოვანი მონაკვეთების დახრილობა ალაგ-ალაგ 70 გრადუსს აღწევდა. ამას გარდა, ფართო კულუარში თითქმის ყოველდღე ზვავი ეშვებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ მეორე ბანაკის გადატანა გახდა საჭირო, რაკილა იგი ზვავსაშიშ ადგილზე აღმოჩნდა.

ერცოგი სულ უფრო და უფრო ჩქარობდა. ამასობაში ტერაი და რებიუფა ძალზე დაიღალნენ. თანაც რებიუფას ფეხებიც მოეყინა და ორივენი დასასვენებლად მეორე ბანაკში დაეშვნენ. შაციმ და კუზიმაც „არა საკმაო სპორტულ ფორმაში იგრძნეს თავი". ასე რომ, მთელ გუნდში ლაშენალი და ერცოგიღა დარჩნენ, რომლებსაც გზის გაგრძელება შეეძლოთ, მაგრამ მათ ზურგს აღარავინ უმაგრებდათ. და მაინც, ერცოგი თავისას არ იშლიდა. არ იშლიდა, რადგან მუსონი ახლოვდებოდა და თან შიშობდა, ემანდ ინგლისელებმა არ დაგვასწრონ ასვლაო. ამიტომ მეოთხე ბანაკი (6900 მ) ერცოგმა და ლაშენალმა შერპებთან ანგ-თარკესთან და სარკისთან ერთად საკმაოდ სწრაფად, 1 ივლისს მოაწყეს, მეორე დღეს კი მეხუთე ბანაკიც (7400 მ) მზად ჰქონდათ. ერცოგმა ანგ თარკეს მათთან ერთად მწვერვალზე ასვლა შესთავაზა, მაგრამ შერპების სირდარს თურმე ფეხები ეყინებოდა და იერიშზე უარი თქვა. თან ფრანგებსაც ურჩია, თქვენი ფეხსაცმელები არ ვარგა და ფეხების მოყინვა გემუქრებათო, მაგრამ ფეხსაცმელების გამოცვლის დრო და საშუალება არ ჩანდა — პარიზი ძალიან შორს იყო, მუსონი და მწვერვალი კი სულ ახლოს. ასე იყო თუ ისე, ერთადერთ კარავში ფრანგები დარჩნენ, შერპები კი მეოთხეში.

მთამსვლელებმა ღამე ძილ-ღვიძილში გაატარეს. მძვინვარე ქარბუქი მთელი ღამე თოვლის კორიანტელს აყენებდა. ფერდობებიდან ჩამოხვეტილი თოვლი კარვის კალთას იმ ადგილზე აწვებოდა, სადაც ერცოგი იწვა. აქეთ უძანგბადობისაგან, იქით თოვლის სიმძიმისაგან ერცოგს სუნთქვა ეკვროდა.

ლაშენალიც შავ დღეში იყო. იგი ფერდობის მხარეს იწვა და ერთთავად ეჩენებოდა, კარავთან ერთად უფსკრულისკენ მივცურავო. გააფთრებული ქარბუქი კი სულ უფრო მძვინვარებდა. გამთენიისას ქარბუქი ჩაცხრა. მზის პირველ სხივებში ანაპურნას წვერი ვერცხლის წყალივით ალიცლიცდა. ირგვლივ დიდებული სანახაობა გადაშლილიყო, მაგრამ მთამსვლელებს ბუნების სიდიადით ტკბობისთვის არ ეცალათ. იმ ბობოქარი ღამის მერე, რაღა თქმა უნდა, მათ მცირეოდენი შვებაც არ უგრძვნიათ. პირიქით, უფრო დაღლილად და გამოფიტულად გრძნობდნენ თავს, იმდენად დაღლილად და გამოფიტულად, რომ ჩაის მოდუღების თავიც აღარ ჰქონდათ. თუმცა, ჭამის მადაც სრულიად დაკარგვოდათ. ამიტომ გადაყლაპეს ძლიერი სტიმულატორი — მაქსიტონი, რომელიც შიმშილობის გრძნობასაც თრგუნავს, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ ამგვარი დოპინგის მიღება ასეთ სიმაღლეზე ძალზე სახიფათო იყო, მაგრამ მთამსვლელებს მწვერვალის მეტი აღარაფერი ახსოვდათ.

მათ ყინვისაგან გახევებული ფეხსაცმელი დიდი გაჭირვებით, ქოშინ-ქოშინით და სვენებ-სვენებით ჩაიცვეს. ზურგჩანთაში ერთი ქილა შედედებული რძე, რამდენიმე ორცხობილა, ნუგა, თითო წყვილი სათადარიგო წინდა და ფოტოაპარატი ჩადეს, კინოაპარატი კი გაყინულიყო და იქვე დატოვეს. იქვე დატოვეს თოკიც, რათა მაქსიმალურად მსუბუქად ევლოთ და 6 საათზე გზას გაუდგნენ.

***

ახლა ერცოგ—ლაშენალის წყვილი აქ მივატოვოთ, და ვნახოთ ქვემოთ რა ხდება.

იმ დღეს შერპები ანგ-თარკე და სარკი მეოთხე ბანაკში იყვნენ. უფრო სწორედ ეს იყო ახალი ბანაკი, რომელიც მეოთხესა და მეხუთეს შორის დაედგათ, რათა მოიერიშე წყვილთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ. აქვე ამოვიდა ტერაი—რებიუფასა და კუზი—შაცის წყვილი. მერე მეხუთე ბანაკშიც აღწიეს და ნახეს, რომ კარავი თოვლის სიმძიმისაგან დამხობილიყო. მათ მეგობრების კარავი აღადგინეს და გვერდით თავიანთიც მიუდგეს.

მალე შორს, ჰორიზონტზე ერთი ნაფლეთი ღრუბელი გამოჩნდა, თანდათან გაიზარდა და მთელი ცა დაფარა. თოვა დაიწყო. რაკი აქ მხოლოდ ოთხი კაცის ადგილი იყო, კუზი და შაცი ახალ, მეოთხე ბანაკში დაეშვნენ, ტერაი და რებიუფა კი მეგობრების მოლოდინში იქვე დარჩნენ.

***

ამასობაში ერცოგი და ლაშენალი კუს ნაბიჯებით მწვერვალს უახლოვდებოდნენ, მაგრამ მოყინულ ფეხებში გრძნობა მთლად დაეკარგათ. ლაშენალმა რამდენჯერმე გაიხადა კიდეც ასეთი სიმაღლისთვის უხეირო ფეხსაცმელი და ფეხების დაზელა დაიწყო, თუმცა მგრძნობიარობა ვერა და ვერ აღიდგინა.

მაგრამ ისინი ტაატით, სვენებ-სვენებითა და ქოშინით მაინც ჯიუტად წინ მიიწევდნენ. ბოლოს ლაშენალი თითქოს გატყდა, ერცოგს ხელი ჩასჭიდა და ნაღვლიანად ჰკითხა, შენ რას იზამ, მე რომ ახლა უკან დავბრუნდეო.

— მე მწვერვალზე წავალ! — აუღელვებლად უპასუხა ერცოგმა.

ლაშენალი შეჩერდა, ერცოგმა კი გზა გააგრძელა, მაგრამ სულ რამდენიმე ნაბიჯის მერე ლუი მის ნაფეხურებს მიჰყვა.

როგორც იქნა, მწვერვალს მიაღწიეს. ეს იყო 1950 წლის 3 ივლისს.

ლაშენალი მეგობარს აჩქარებდა, მაგრამ ერცოგმა ალტიმეტრი ამოიღო და მწვერვალის სიმაღლე გაზომა. მალე რამდენიმე მეტრით თხემის შვერილზე დაეშვნენ. აქ ერცოგმა საფრანგეთის პატარა ეროვნული დროშა წერაყინზე გამოაბა, აღმართა და ლაშენალს სურათის გადაღება სთხოვა. მერე ერცოგმა ფოტოაპარატში ფერადი ფირი ჩადო და ლაშენალს კვლავ სურათის გადაღება სთხოვა. უგრძნობელი ფეხებით შეშფოთებული ლაშენალი გამარჯვების სიხარულს ვეღ... იცდიდა და ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად დაშვებულიყო. ამინდიც უარესდებოდა, მაგრამ გინებ-გინებით მეგობარს თხოვნა მაინც შეუსრულა და უმალ ქვემოთ დაეშვა, ერცოგი კი, რომელსაც ლაშენალივით მოყინული ფეხები ჰქონდა, თავის სავალალო მდგომარეობას მთლად სადაც ვეღარ აფასებდა. ეტყობა, მაქსიტონი თავისას შვებოდა. ამიტომ მწვერვალზე შეყოვნდა, ფოტოაპარატი ზურგჩანთაში ჩადო და შედედებული რძე მოიყუდა. მერე ზურგჩანთაც მოიკიდა და ლაშენალს დაეწია, მაგრამ გზაში შეჩერდა და ზურგჩანთაში უაზრო ქექვა დაიწყო. ამასობაში ხელთათმანები ძირს დაუვარდა. ისინი ქარმა აიტაცა და ქვემოთ გადაყარა, მაგრამ იმ სიჩქარეში, ლაშენალს დავეწიოო, ხელები მთლად გადავიწყდა. ეტყობა, ესეც მაქსიტონის ბრალი იყო, რადგან მისი დიდი რაოდენობით მიღება რაღაც სიმთვრალის გრძნობას იწვევს. ამიტომ ერცოგს არც გახსენებია სათადარიგო წინდები, რომლებიც ხელთათმანებად შეეძლო გამოეყენებინა.

ასე იყო თუ ისე, თოვა დაიწყო, ქარიც გაძლიერდა და ლაშენალი ერცოგის თვალთახედვიდან გაქრა.

ამინდის გაფუჭებით შეშფოთებული ტერაი და რებიუფა კი მოუთმენლად ელოდნენ მეგობრებს. უცებ ტერაის რაღაც ხმა მოჩვენებასავით შემოესმა და კარავიდან სწრაფად გამოფოფხდა. რიგიანად წელში გამართვაც ვერ მოასწრო, რომ თავზე ერცოგი წამოადგა.

— ყველაფერი გაკეთებულია, ჩვენ დავამარცხეთ ანაპურა, — ეს ისე უპასუხა ერცოგმა, რომ ტერაის კითხვას არც დაელოდა. მაგრამ ერცოგს ისეთი ჩახრინწული, ისეთი შეცვლილი ხმა ჰქონდა, რომ ტერაი შეშფოთდა. მერე, როცა ერცოგს ხელი ჩამოართვა, ქვასავით მკრივი და ყინულივით ცივი მეგობრის ხელი შერჩა. მოულოდნელობისგან ტერაი დაბარბაცდა.

— შენ ხომ ხელები მოგიყინია! — ყვირილით ეუბნება ერცოგს.

— ეგ არაფერი, ყველაფერი კარგად იქნება! — გულგრილად პასუხობს ერცოგი.

ტერაიმ და რებიუფამ უღონო ერცოგი კარავში შეათრიეს და ხელ-ფეხის დაზელას შეუდგნენ. ლაშენალი არსად ჩანდა.

უცებ იმ ქარის ხუხუნში და კარვის ქალთების ტყლაშუნში სადღაც შორიდან ყვირილი შემოესმათ. ტერაი უმალ კარავიდან გამოვარდა და ქვემოთ, ასიოდე მეტრის ქვემოთ ციცაბო ფერდობზე მოსრიალე ლაშენალს მოჰკრა თვალი.

ტერაი მასთან საკმაოდ სწრაფად, გლისერით ეშვება და ხედავს, რომ ლაშენალს აღარც წერაყინი აქვს და აღარც ცალი წრიაპი.

— ფეხები მოყინული მაქვს, სწრაფოდ მეორე ბანაკში უნდა ჩავიდე ექიმთან — ყვირის ლაშენალი, ტერაის ხელიდან წერაყინს გლეჯს და დაშვებას ცდილობს, მაგრამ ღონემიხდილი უმალ ვარდება.

ტერაის, ბოლოსდაბოლოს, დიდი გაჭირვებით მოჰყავს მეგობარი კარავში. რებიუფა და ტერაი მთელი ღამე მეგობრებს ხელ-ფეხის თითებს უზელენ. დილით ლაშენალს ფეხები ისე საშინლად უსივდება, რომ ტერაი თავის ორი ნომრით დიდ ფეხსაცმელს გაჭირვებით აცმევს, თავად კი მეგობრისას დანით სერავს და თვითონაც რის ვაივაგლახით იცვამს.

დილით აღმოჩნდა, რომ ტერაისაც დაეკარგა წერაყინი. ოთხი კაცი ორი წერაყინის ამარაღა დარჩა. მათ თოვასა და ნისლში დაიწყეს დაშვება და ორიენტაციაც დაკარგეს. ღამეც შეუმჩნევლად წამოეპარათ, მეოთხე ბანაკი კი არსად ჩანდა. ამიტომ ტერაიმ თოვლის თხრა დაიწყო რათა ღამისათევი ადგილი მოეწყო. სწორედ იმ დროს ლაშენალი ნაპრალში ჩავარდა. საბედნიეროდ, იგი ღრმა არ აღმოჩნდა და ყველანი შიგ ჩავიდნენ.

აქ ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულებმა ჯოჯოხეთური ღამე გაატარეს. მთელი ღამე ერთმანეთს ხელ-ფეხს უზელდნენ, თან ტერაის ერთადერთი საძილე ტომრით ამაოდ ცდილობდნენ გათბობას. ამას დაემატა ზვავიც, რომელმაც ნაპრალს თავზე გადაუარა და იქ ჩაყუჟულნიც თოვლით ამოავსო.

მეორე დღეს მშვენიერი დილა გათენდა, მაგრამ მთამსვლელთა გადარჩენის შანსი მაინც უმნიშვნელო იყო, რაკილა ტერაისა და რებიუფას მზის სათვალე დაკარგვოდათ და თოვლის სიბრმავე დამართოდათ. თავიანთ დაწითლებულ და უსინათლო თვალებში ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს შიგ ცხელი ქვიშა ჩააყარესო.

ტერაისა და რებიუფას ლაშენალისა და ერცოგის თვალებით უნდა ევლოთ, ამ ორ უკანასკნელს კი თავიანთი მეგობრების ფეხებით, თანაც ამათგან ერთი წყვილი მარჯვენა ხელისა თუ ფეხის — წერაყინის გარეშე იყო. ასე რომ, იმ ღვთისაგან მიტოვებულ ადგილზე ოთხივე მთამსვლელი განწირული აღმოჩნდა და მათი გადარჩენა სასწაულსღა თუ შეეძლო.

და აი, სასწაულიც გამოჩნდა — მეოთხე ბანაკიდან შაცი ოდნავ ზემოთ ამოსულიყო, იქნებ მეგობრებს თვალი მოვკრაო და მოკრა კიდეც. მისი და კუზის დახმარებით ყველანი ჩავიდნენ მეოთხე ბანაკში, რომელიც თურმე იქვე, ორასიოდე მეტრით ქვემოთ ყოფილა. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო და მერე, როცა მესამე ბანაკისკენ უკვე შერპებთან ერთად ეშვებოდნენ, მათ კიდევ ერთი ასეთი „ქვა" წამოეწიათ — ზვავი. მან ერცოგი და ორი შერპი ნაფოტივით აიტაცა, მერე მორევივით შიგ ჩაითრია და ქვემოთ გააქანა. დაღუპვა გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ერცოგი პატარა ნაპრალში ჩავარდა და გაიჭედა. დაჭიმულმა თოკმა, რომელზეც მასთან ერთად შერპებიც იყვნენ ჩაბმულნი, ერცოგი ლამის წელში გაწყვიტა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა.

მალე მეოთხე ბანაკიდან გამოსული ჯგუფიც ამოვიდა და ყველანი იქ ჩაიყვანეს. აქ უდოს დიდი ჯაფა დაადგა — აქეთ ხელფეხ მოყინულები, იქით დაბრმავებულნი. ექსპედიციის ექიმი 5900 მეტრის სიმაღლეზე, ჯიბის ფარნის შუქზე ცდილობდა თავისი მეგობრების სიცოცხლის გადარჩენას. ცდილობდა მათთვის ხელ-ფეხის თითების შენარჩუნებასაც, მაგრამ განგრენა ხან ერთს ეწყებოდა,ხან მეორეს. ისიც იძულებული იყო რიგრიგობით ეკვეთა და ეკვეთა თითები. ასე გაგრძელდა საბაზოშიც, ასე იყო შინისკენ ლაშქრობაშიც და მატარებელშიც, რომლის ერთი ვაგონის ფანჯრებიდან დროდადრო ადამიანების ხელ-ფეხის თითებს ისროდნენ.

მოგვიანებით მორის ერცოგმა, რაკილა არცერთი თითი აღარ შერჩა, კარნახით დაწერა მშვენიერი წიგნი „ანაპურნა".

იგი ამბობდა: „ყველა ხედავს, რაც დავკარგე, მაგრამ მხოლოდ მე ერთმა ვიცი, რაც შევიძინე".

აი, ინგლისელთა ექსპედიციამ კი ტილმანის მეთაურობით, რომელიც თითქოს „იშვიათი ფრინველებისა და მცენარეების შეგროვებას" აპირებდა, ანაპურნა IV (7524 მ.) სცადა ასვლა, მაგრამ 7300 მეტრზე ზემოთ აღწევა ვეღარ შესძლო.

ავთანდილ ბურასაშვილი

სზე", ორშაბათიდან საფრანგეთის ღია პირველობა გაჩაღდა.

აქამდე ოთხადოთხ ჩოგბურთელს — პერის, ბაჯს, ემერსონსა და ლეივერს მოუგია დიდი სლემის შემადგენელი ოთხივე ჩემპიონატი. ამერიკელებს — ანდრე აგასისა პიტ სამპრასს პარიზში გამარჯვებალა აკლიათ ამ საპატიო სიაში მოსახვედრად.

# სამპრასს გეგმა ჩაეშალა

აგასიმ შეჯიბრი ყოჩაღად დაიწყო: ზედიზედ დაამარცხა გერმანელი ბრაამი 6:1, 6:4, 6:4 და ავსტრალიელი ვუდბრიჯი 7:5, 6:1, 6:0. სამპრასს მარცხი შეემთხვა პირველსავე წრეში — 6:7, 6:4, 7:6, 2:6, 4:6 წააგო მსოფლიოს 24-ე ჩოგანთან, ავსტრიელ გილბერტ შალერთან, ვისაც ბოლო დროს თიხაზე დაუმარცხებია ბრუგერა, შტიხი და კაფელნიკოვი. ამ თამაშმა ორ დღეს გასტანა. სამაგიეროდ, მეორე ავსტრიელმა — თიხაზე თამაშის დიდოსტატმა თომას მუსტერმა (5) ზედიზედ მოგებული მატჩების რიცხვი 30-მდე აიყვანა და შვედი მატს ვილანდერის მიღწევამდე ერთიღა უკლია. მუსტერმა ჯერ მოუგო ფრანგ ჟერარ სოლვის 3:6, 6:4, 6:2, 6:1, მერე კი იოლად გაუსწორდა ასევე მასპინძელს — სედრიკ პიოლინს. დიდი სლემის ზედიზედ მესამე შეჯიბრს პირველსავე წრეში გამოეთიშა ხორვატი გორან ივანიშევიჩი (4). მას მოუგო 23 წლის შვედმა მიქელ ტილსტრიომმა 7:5, 6:3, 6:4. შარშანდელმა ჩემპიონმა — ესპანელმა სერხი ბრუგერამ (7) დაამარცხა ავსტრალიელი რაფტერი 6:3, 6:1, 7:6. გერმანელმა ბეკერმა (3) სამ ხელში აჯობა არგენტინელ ფრანას, ესპანელმა ბერესატეგიმ (11) ხუთ ხელში — ჩილელ რიოსს, ვეტერანი ვილანდერი კი სამხრეთაფრიკელ ფერეირასთან (8) დამარცხდა. ჰოლანდიელმა კრაიჩეკმა (15) ხუთ ხელში წააგო ნორჩ ავსტრალიელ ენდრიუ ილისთან.

განთესილ ქალთაგან უკვე გავარდნენ ბელარუსი ზვერევა (10) და ამერიკელი მ. ჯ. ფერნანდესი (13). პირველს მოუგო რუმინელმა კატალინა კრისტეამ 1:6, 7:5, 6:3, მეორეს — არგენტინელმა პაულა სუარესმა 6:4, 6:3. სანჩეს-ვიკარიომ (1) დაამარცხა კორეელი პარკი 6:1, 6:0, გრაფმა (2) — არგენტინელი ინეს გოროჩატეგი 6:1, 7:5, მარტინესმა (4) — გერმანელი საბინე პაკი 6:0, 6:0.

# «ჯიროს» აზრი დაეკარგა

იტალიის ველოტურ „ჯიროზე" კიდევ სამი ეტაპი გაიმართა, რის შედეგადაც შვეიცარელი ტონი რომინგერი კიდევ უფრო დაწინაურდა. ამთავითვე ცხადია, რომ ბოლო სამ ეტაპზე, დღეს, ხვალ და ზეგ რომ უნდა გაიმართოს, რომინგერს რაიმე კურიოზი ან კატასტროფა თუ არ შეემთხვევა, ისე ველარავინ აჯობებს.

29 მაისს, XVI ეტაპის (ლენცენპაიდე — ტრევილიო, 224 კმ) ფინიშზე მეტოქეების ბიძგებისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს ორ იტალიელს — გამარჯვებულ ჯოვანი ლომბარდისა და მარიო მანძონის, რის შემდეგაც მოგება იტალიელსავე ჯუზეპე ჩიტერიოს მიენიჭა. 30 მაისს, 43-კილომეტრიანი ჩქაროსნული რბოლა (ჩენატე — სელვინიო), როგორც მოსალოდნელი იყო, თავად რომინგერმა მოიგო და „ჯიროს" შარშანდელ გამარჯვებულ რუს ბერზინს ჯამში 5 წუთზე მეტით გაუსწრო. 31 მაისის XVIII ეტაპს (სტრადელა — სანტო ვიკოტორდე, 221 კმ) ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია. რბოლა მოიგო მასპინძელმა დენის ძანეტიმ. მეორე ადგილზე იტალიელი ჯირონი გავიდა, მესამეზე — უკრაინელი უსტიაკოვი.

### NBA. ფლეი-ოფი

კონფერენციების ფინალი

აღმოსავლეთი

ორლანდო — ინდიანა 2-2 (105:101, 119:114, 100:105, 93:94)

დასავლეთი

ჰიუსტონი — სან-ანტონიო 3-2 (93:94, 96:106, 107:102, 103:81, 111:90)

# გლახაკთაც ხელი გამოიღეს

სამშაბათსა და ოთხშაბათს გამართულ მეორე ტურში, როგორც იყო, ხელი გამოიღეს გლახებმა, რომელთაც პირველ თამაშებში ძლიერ შეირცხვინეს თავი.

რუმინეთი ერთობ გაუძალიანდა სამხრეთ აფრიკას, ვისაც ავსტრალიასთან მოგების შემდეგ ერთბაშად შეეცვალა 11 კაცი, რათა განაცხადში შეყვანილი ყოველი მორაგბე თუნდაც ერთჯერ ეთამაშებინა. („ქურციკი" და „ვოლაბი" სათადარიგოები მოთამაშეთა ჩამონათვალში * ვარსკვლავებით შევამკეთ.) ვერ ვიტყვით, მასპინძლებს ამგვარი ექსპერიმენტი კინაღამ ძვირად დაუჯდათო, თუმცა ერთობ უფერულად კი ითამაშეს და ორივე ლელოც ძალით, ჯგუფურად გაიტანეს. რუმინელთა ლელო, პირიქით, ერთობ ეშხიანი რამ იყო. ამ ღირსეული წაგებით კარპატელმა „მუხის ფოთლებმა" კანადისგან შელახული ღირსებაც აღიდგინეს და შინ დაბრუნებულებიც ალბათ პირში ბურთს ჩაჩრიან სპორტის ფუნქციონერებს, რომლებიც ახალი რუმინეთის შემარცხვენელ გუნდს დასჯას ექადნებოდნენ.

აფრიკელთა მსგავსად მოიქცა ავსტრალიაც, ვინაც „ქურციკებთან" უთამაშებელი ბიჭები გასინჯა. „ვოლაბებმა" თავიდანვე დაიბრიყვეს კანადა და უმალ 17 ქულითაც დაწინაურდნენ. მერე კანადა გონს მოეგო და მეტოქეს ტოლი აღარ დაუდო. მეორე ნახევარში აღინუსხა ხანგრძლივი პერიოდები, როცა კანადის შერკინება მიეძალა მეტოქეს და ლელოსთან მიიმწყვდია. „ვოლაბებმა" თავი ძველებურად კი დაიცვეს, მაგრამ ენისის შეტევის შემდეგ „ბარბაროსი" შარონისაგან მაინც გაუშვეს ლელო. მსოფლიო ჩემპიონთაგან რიგიანად ისევ ვერ ითამაშა ქემფიზიმ, ჰართილი და სლეთერი კი დაშავდნენ. მეოთხედფინალის წინ „ვოლაბთა" მწვრთნელ დვაიერს ალბათ ბევრი თავსატეხი ექნება.

ავსტრალიის სავარაუდო მეტოქე ისევ და ისევ ინგლისია, ვინაც ზღვისპირა დურბანში წვიმაში სძლია იტალიას. ლათინებმა ბრიტანელებთან უკეთ ითამაშეს, ვიდრე სამოასთან, მაგრამ მაინც ეტყობოდათ, რომ კლასი აკლიათ. ინგლისს აკლდნენ დაშავებული კაპიტანი ქარლინგი და ორივე ნიგერიელი: უბოგუ და ოჯომო. ენდრიუმაც ორჯერ კარს ააცილა ბურთი, თუმცაღა ხ გოლი მაინც გაიტანა. ინგლისელებმა ისე ვერ იბურთავეს. იტალია შერკინებითაც უტევდა, ფრანჩესკატომ (12) მშვენიერი გარღვევებიც მოაწყო, ვაკარიმ ქეთს (15) კიდეც დაუფარა და ლელო გაუტანა, მაგრამ ერთი პირობა 17 ქულით დაწინაურებულ ინგლისს საბოლოო მონაგარი მაინც მეტი აღმოაჩნდა. აღსანიშნავია, რომ შესვენების შემდეგ იტალია ზურგქარში თამაშობდა.

„ბ" ჯგუფში პირველი ადგილის მოსაპოვებლად და მეოთხედფინალში სამხრეთი აფრიკის გასარიდებლად ინგლისმა ბოლო ტურში სამოა უნდა დაამარცხოს. ზღვისრეთელებმა იშვიათი დრამატიზმით აღსავსე მატჩი გაუმართეს არგენტინას, ვისაც კარგი შერკინება უცვლელად დაეტოვებინა, არბისუ შუამარბად გადაეყვანა, 10 ნომრად კი დაეყენებინა ნორჩი სილეი, ვინაც შარშან შემოდგომაზე ტესტის სათამაშოდ სამხრეთ აფრიკაში თამაშამდე ერთი საათით ადრე ჩაუყვანიათ.

სილეიმ დიდებულად ურტყა. პირველი საათის მანძილზე არგენტინა სწორად თამაშობდა და 13 ქულითაც იგებდა 26:13. ამ ხნის განმავლობაში ზელანდიური რაგბის წიაღში გამოზრდილი სამოელები პარადოქსულად მოქმედებდნენ — საკუთარი ლელოდანაც კი უტევდნენ. ესოდენ უცნაურმა თამაშმა და მოახლოებულმა გამარჯვებამ არგენტინას სალერღელი აუშალა, სამოელმა ქელეთმა (10) კი ფეხით თამაში გააჩაღა. სამოამ საჯარიმოებით 4 ქულამდე დაიყვანა სხვაობა, მერე კი მარჯვედ გამოიყენა ხურადოს (15) შეცდომები და პარამორის (7) მცდელობით ორი ლელოც გაიტანა. თამაშის ბოლოს არგენტინამ ზედ მეტოქის კარის წინ შერკინებით სცადა ბურთის ლელოში შეტანა, მაგრამ მსაჯმა აღარ ადროვა. სამოამ 6 ქულით მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა.

თუ „ა" და „ბ" ჯგუფები ზღვის ნაპირზე თამაშობენ, „გ" და „დ" მაღალმთიანეთში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქ შაბათს ხალხი აღელვა სპილოს ძვლის ნაპირმა, კვირას კი — იაპონიამ. არა, არც ერთსა და არც მეორეს მოგების იოტისოდენა შანსიც არა ჰქონია, მაგრამ ერთობ კეთილად განწყობილი სამხრეთაფრიკელი მაყურებლის სიმპათია კი დაიმსახურა. ხალხი თურმე შიშობდა, პირველ ტურში კოტდივუარელთა 0:89 წაგებამ ემანდ ამ ქვეყანაში ხალხს რაგბზე გული არ აუცრუოსო, მაგრამ ფრანგების გადახალისებულ გუნდს ფრანგულენოვანი აფრიკის წარმომადგენლები არ შეეპუენ და ფიცხელი ომი გაუმართეს. ზანგები თავდადებით ბოჭავდნენ მეტოქეს, ხოლო როცა ვიქტორ კუასიმ საჯარიმო გაიტანა, მთლად გადაირივნენ. მერე და მერე კუასიმ ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი, მაგრამ აბუბაქარ კამარამ ლაკრუას მარჯვედ დაუფარა, ისმაილ სატიყმა კი პასი ჩაჭრა, რაც თითო ლელოთი დასრულდა.

იაპონია თავიდან 19 ქულით ჩამორჩა შემადგენლობაშეცვლილ ირლანდიას, მაგრამ მერე ბურთაობა გაუმართა და ამ საქმეში მეტოქეს კიდეც აჯობა. გამოირჩეოდნენ კაძიპარა (6), პირაო (10), მოტოკი (12). აზიელებმა ოთხი გარდასახული ლელო გაიტანეს და ორჯერ 5 ქულამდეც წამოეწივნენ „სამყურებს" (14:19 და 21:26), მაგრამ კელტებმა ჭკუა და ძალა იხმარეს:



ზინზანს ფეხი გაუმიზეზდა, შარონმა ავსტრალიას ლელო გაუტანა

მყის ფეხით თამაში და შერკინებით ჯაგაჯუგი გააჩაღეს, ხოლო ხუთმეტრიან შერკინებებში ლელოს გატანა შეთრევით სცადეს. იაპონელი მორკინალები ვერ დაუდგნენ მეტოქეს და შერკინებები ზედიზედ ჩააქციეს, რისთვისაც ორჯერ საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ.

შოტლანდია — ტონგას თამაშში სქოთებმა უძლიერესი თხუთმეტეული გაიყვანეს. ზღვისრეთელებმა თავიდან ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ დერეფანში ვიარს ვერაფერი დააკლეს. ტონგა ძალიან ბევრს ჯარიმდებოდა. კვლავ დიდებულად ურტყა გევინ ჰეისთინგსმა, ვინაც ტესტ-მატჩში გატანილი საჯარიმოების მსოფლიო რეკორდი გაიმეორა (არადა, რომ ეთვალა და მეტი იღბალიც ჰქონოდა, უთუოდ გააუმჯობესებდა). ტონგამ ზედიზედ 8 საჯარიმო გოლი მიიღო და მერეღა, თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე გაუშვა პირველი ლელო.

ტური დააგვირგვინა ძველი მეტოქეების — ახალი ზელანდიისა და უელსის თამაშმა, რომლის სანახავადაც 62-ათასიან „ელის-პარკზე" 45 ათასი კაცი შეიკრიბა. „ოლ ბლექსის" 8 ნომრად ზინზან ბრუკს უნდა ეთამაშა, მაგრამ ზელანდიის შარშანდელ საუკეთესო მორაგბეს ფეხში კიდევ უგრძვნია ტკივილი და დაბრუნება იაპონიასთან თამაშისთვის გადაუდია. ამის შემდეგ ბრუერი ფრთიდან შემკვრელად გადაიყვანეს, ფრთაზე კი ჯოზეფი დააბრუნეს.

უელსის ავსტრალიელმა მწვრთნელმა ევანსმა გარისკა და უმრისხანეს მეტოქეს ერთბაშად სამი ახალბედა მორკინალი — ჰამფრიზი, პროსერი და ბენეთი გაუყვანა, 9 ნომრად კი გამოცდილი რობერტ ჯოუნზი აღადგინა. უელსი, ვისაც 1953 წლის მერე ვერაფრით დაუმარცხებია ზელანდია, ეკვეთა მეტოქეს და ჯენქინსის არეკნით მალევე დაწინაურდა.

„ოლ ბლექსმა" თანდათანააწყო თამაში. ეს გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა სადა, გენიალური სტილით — ბურთი სწრაფად წინ მიჰქონდა და ლელოც გაჰქონდა. ირლანდიასთან და უელსთან თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, ახლანდელი ნაკრები დიდ წინამორბედთა ბადალია. ბრწყინავენ მერთენსი, ლითლი და ბანსი, ოზბორნი და ტანკისტისქუდიანი კრონფელდი. ეს ჯეელი მოთამაშე მუდამ ბურთთანაა. მერთენსი ტაქტიკურადაც დიდებულად ურტყამს და კარშიც. გუნდის მიერ გატანილი სამივე ლელოც სამაგალითო იყო. ბოლოს დროს მსუბუქად დაშავდა გოლიათი გარემარბი ლომუ, წინა ტურში კი — ვარსკვლავი გარემარბი ვილსონი.

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი მოგებით მეოთხედფინალში უკვე გავიდნენ სამხრეთი აფრიკა, სამოა, ინგლისი, ახალი ზელანდია, შოტლანდია და საფრანგეთი. „ა" და „ბ" ჯგუფებში მეორე გუნდის ვინაობაა გასარკვევი, „გ" და "დ" ჯგუფებში კი — ჯგუფის გამარჯვებულის საკითხი.

**უჩა დავითაშვილი**

### III მსოფლიო თასი. II ტური

30 მაისი

ისთ-ლონდონი. „ბაზილ ქენიონი". („ბ")

**სამოა 32 (10) — არგენტინა 26 (16)**

მსაჯი დ. ბიშოფი (ახ. ზელანდია)

სამოა — 3ლ: №11 პარდერი (9), 11* ლაუპეპე (75), 8 ტატუპუ (80); გ(9) და 5ს (17, 49, 63, 66, 72): 10 ქელეთი

არგენტინა — 2ლ: საჯარიმო (6), 9 კრექსელი-ჯგუფური (46); 2გ და 4ს (15, 21, 27, 58): 10 სილეი

ქეიფთაუნი. „ნიულენდსი". („ა")

**ს. აფრიკა 21 (8) — რუმინეთი 8 (0)**

მსაჯი კ. მაკქართნი (შოტლანდია)

აფრიკა: ჯონსონი*; სმოლი, შოლცი*, ფენტერი* (სტრანსკი, დროებით), ჰენდრიქსი; ლერუ, რუ*; პეიგელი, როსუვი*, პართერი*; ვიზე*, ოტო*; კრუგერი, ბრინკი*, რიხტერი* (კაპიტანი). — 2ლ: რიხტერი-ჯგუფური (12, 56); გ (56) და 3ს (7, 45, 59): ჯონსონი

რუმინეთი — ლ: 6 გურანესკუ (76); ს: 10 ივანჩუკი (52)

რიუსტენბურგი. „ოლიმპიკ პარკი". („დ")

**საფრანგეთი 54 (28) — სპ. ძვლ. ნაპ. 18 (3)**

მსაჯი მუნ სუ პანი (ს.კორეა) (47+45)

საფრანგეთი — 8ლ: 12 ლაკრუა (2, 75), 8 ბენაზი (26), 9 აკოსბერი (32), 15 ჟიარი (46), 14 ტეიშუარე (50), 6 კოსტი-ჯგუფური (66), 11 სანტანდრე (80); 4გ: ლაკრუა (26, 66), 10* დეილო (50, 75); 2ს: ლაკრუა (8, 17)

სპილოს ძვლის ნაპირი — 2ლ: 10 კამარა (72), 14 სულამა (84); გ (72) და 2ს (37, 56); 15 კუასი

პრეტორია. „ლოფტუს ფერსფელდი". („დ")

**შოტლანდია 41 (18) — ტონგა 5 (5)**

მსაჯი ბ. ლისქი (ავსტრალია) (44+42)

შოტლანდია — 3ლ: 8 პიტერსი (65), 15 გ. ჰეისთინგსი (73), 13. სქ. ჰეისთინგსი (82); გ (82) და 8ს (1, 7, 10, 19, 32, 40, 47, 61): გ. ჰეისთინგსი

ტონგა — ლ: 7 ფუნუკიტაო (14)

31 მაისი

პორტ-ელიზაბეთი. „ბოტ ერაზმუსი". („ა")

**ავსტრალია 27 (20) — კანადა 11 (6)**

მსაჯი პ. რობენი (საფრანგეთი)

ავსტრალია: ბერქი*; როფი*, ჯ.ლითლი, ჰორანი8, ქემფიზი; ლაინაფი (კაპიტანი), სლეთერი* (გრეგანი); დეილი*, ქერნსი, ჰართილი* (მაკქენზი); ვო*, ილზი; ოფენგაუე, ტაბუა*, გევინი. — 3ლ: 7 ტაბუა (9), 14 როფი (12), 10 ლაინაფი (56); 3გ და 2ს (6, 35): ლაინაფი

კანადა — ლ: 8 შარონი (78); 2ს: 10 რიისი (14, 31)

ბლუმფონტეინი. „სპრინგბოქ პარკი". („გ")

**ირლანდია 50 (19) — იაპონია 28 (14)**

მსაჯი შ.ნითლინგი (ს.აფრიკა) (42+42)

ირლანდია — 7ლ: 6 ქოქრი (12), 5 ფრენსისი (20), 11 გეგანი (26), საჯარიმო (44, 67), 7 ჰალვი (69), 9 ჰოგანი (79); 6გ (26 გარდა) და ს (77): 10 ბერქი

იაპონია — 4ლ: 7 სინალი ლატუ (36), 8* იზავა (40), 10 პირაო (60), 3 ტაკურა (74); 4გ: 11 ი.იოშიდა

დურბანი. „კინგზ პარკი". („ბ")

**ინგლისი 27 (16) — იტალია 20 (10)**

მსაჯი ს. ჰილდიჩი (ირლანდია) (41+41)

ინგლისი — 2ლ: 14 თ.ანდერვუდი (9), 11 რ.ანდერვუდი (50); გ (9) და 5ს (14, 33, 39, 57, 63): 10 ენდრიუ

იტალია — 2ლ: 14 ვაკარი (41), 1 მას.კუტიტა-ჯგუფური (82); 2გ და 2ს (18, 73): 10 დომინგესი

იოჰანესბურგი. „ელის პარკი". („გ")

**ახ. ზელანდია 34 (20) — უელსი 9 (6)**

მსაჯი ე.მორისონი (ინგლისი) (42+42)

ზელანდია: ოზბორნი; ელისი, ბანსი, ჯ.ლითლი, ლომუ (რაში, 75); მერთენსი, გ.ბეშოფი; დაუდი, ფითსპატრიკი (კაპიტანი), ბრაუნი; ი.ჯოუნზი, ლარსენი; ჯოზეფი, კრონფელდი, ბრუერი. — 3ლ: ლითლი (18), ელისი (36), კრონფელდი (73); 2გ (18, 36), 4ს (13, 32, 46, 52) და ა (64): მერთენსი

უელსი: ქლემენთი; ი.ევანსი, პოლი (კაპიტანი), თომასი, პროქტორი; ნ.ჯენქინსი, რ.ჯოუნზი; რ.ევანსი, ჰამფრიზი, ჯ.დევისი; დ.ჯოუნზი, პროსერი; პლუელინი, ბენეთი, პ.თეილორი. — 2ს (41, 56) და ა (6): ჯენქინსი

შაბათ-კვირას ბოლო, მესამე ტურის გადმოცემა ჩვენებური დროით საღამოს ექვსის ნახევარზე დაიწყება და ნაშუაღამევის პირველ საათამდე გაგრძელდება. „ვარსკვლავა ტელევიზია" თამაშებს ამ რიგით გვიჩვენებს:

ხვალ. ავსტრალია — რუმინეთი (6 საათზე), შოტლანდია — საფრანგეთი (8-ზე), ტონგა — სპილოს ძვლის ნაპირი (10-ზე, შემოკლებით) და სამხრეთი აფრიკა — კანადა (11-ზე)

ზეგ. ახალი ზელანდია — იაპონია (6), ირლანდია — უელსი (8), არგენტინა — იტალია (10, შემოკლებით), ინგლისი — სამოა (11)

ამ ბოლო თამაშის პირდაპირ გადმოცემას გვპირდება „ევროსპორტიც". მიმოხილვები ამ არხზე ღამის 2 საათზე და დღის 12-ის ნახევარზე დაიწყება.

31 მაისს მელბურნის კრიკეტის სტადიონზე უცხო შოუ მოეწყო. ავსტრალიურ ბურთაობაზე გადარეულ ამ ქალაქის ... ათას მცხოვრებს უმაღლესი ლიგის ... რაგბი უჩვენეს ახალი სამხრეთი უელსის (სიდნეი) და ქვინზლენდის (ბრისბენი) ნაკრებებმა. ამ გუნდების პირველი მატჩი 1... მაისს ბრისბენში რომ გაიმართა, ერთი ... ნგილა საჯარიმოს წყალობით ... მასპინძელმა „წითლებმა". სიდნეელებმა სერიის მეორე თამაში საკუთარ მოსა... რებით თავისი ქალაქიდან ... მიწაზე — მეზობელ მელბურნში გადაიტანეს. მატჩის დასაწყისშივე ლაიფურ... მუშტი-კრივი გაიმართა. ბრისბენელი მორაგბეები ამგვარად გახურდნენ და ქვინზლენდიც 8:0 დაწინაურდა. თამაშის ბოლოსთვის „წითლებს" 14:12 ეგებოდნენ, მაგრამ სიდნეელმა „ცისფრებმა" მარჯვედ შეუტიეს, თუმცა გადამწყვეტი ლელო ველარ გაიტანეს. ბოლოს ქვინზლენდმა გადაცემა ჩაჭრა, მატჩი 20:12 მოიგო, ე.წ. დამოუკიდებელ შტატთა სერიალი კი 2-0.

*

შარშან, შინ ნახშირჟანგით გაგუდული ამერიკელი ჩოგბურთელის — ვიტას გერულაიტისის ოჯახი კომპენსაციად 63 მილიონ დოლარს ითხოვს ფირმისგან, რომელმაც ავსტრალიის ექს-ჩემპიონის ბინაში დაამონტაჟა სავენტილაციო სისტემა საქმე ნიუ-იორკის სასამართლოში ინდება.

*

ინდიანაპოლის-500 ავტორბოლის დროს მძიმედ დაშავებულ სტენ ფოქსს კრიტიკული დღეები უდგას. მეთოდისტური ჰოსპიტალის ექიმებმა მას თავის ტვინის სკანირება ორჯერაც ჩაუტარეს, მაგრამ ჯერაც ვერ ასკვნიან, რეინარდ-ფორდის მძღოლი გადარჩება თუ ვერა. ინდიანაპოლისში მრბოლი წინა ჯერზე 1973 წელს დაღუპვიათ. იგი მავანი შვედი, გვარად სავიჯი ყოფილა.

*

30 წლის ტეხასელმა მოტომრბოლმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კევინ შვონცმა გამოაცხადა, რომ სეზონის დასრულებას აღარ დაელოდება და იტალიის დიდი პრიზის შემდეგ სპორტს თავს ანებებს. შვონცი ტრავმებმა გატანჯა და ბოლო დროს ველარ იმარჯვებს. არადა, ამ კაცს კარიერის მანძილზე 25 დიდი პრიზი მოუგია, რითაც უელა დროის სიაში მეოთხე ყოფილა აგოსტინის, მელვუდისა და ლოუსონის შემდეგ.

*

კელნის უნივერსიტეტის გამოკვლევის შედეგად დადგენილა, რომ გერმანულ სპორტში დოპინგი მეტად იკიდებს ფეხს. აკრძალულ ხილს თურმე სხვებზე მეტად მძლეოსნები, ველომრბოლები და ... სნები ეტანებიან.

*

ინგლისის კრიკეტის კაპიტანმა მაიკ აფერტონმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც წერს, დროა, ბურთის გარსის ხელყოფის უფლება დავაკანონოთო. აფერთონი შარშან დიდ შარში გაეხვია, სამხრეთ აფრიკასთან თამაშის დროს ბურთს მალულად რომ მოსცხო მტვერი, მეტოქე ტაფელონსენებისთვის მოგერიება რომ გაეძნელებინა. კრიკეტის ტრადიციის თანახმად, აფერთონს მაშინ ყალთაბანდობა დაბრალეს.


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29